

ვახტანგ გურული

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია
(შესწავლის მდგომარეობა. პერიოდიზაცია)

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი

2011

წინათქმა

წინამდებარე ნაშრომის დაწერისაგან დიდხანს ვიკავებდით თავს. იმთავითვე ცხადი იყო, რომ კრიტიკულად უნდა შეგვეფასებინა იმ ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომები, რომელთა სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის (XIX-XXI სს.) შესწავლას მიეძღვნა. არა მარტო პროფესიონალ ისტორიკოსებს, არამედ ფართო საზოგადოებასაც კარგად მოესხენება, რომ **ეს არის გაყალბებული ისტორია**. ისტორიის გაყალბებას არ შეიძლება გამართლება ჰქონდეს. ძველი სამყაროს ხელისუფალთ, რომელთაც წმიდა წერილი არ მიაჩნდათ სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძვლად, უნიკალური კანონი შექმნეს: ისტორიის გამყალბებელი და ყალბი ფულის (მონეტის) მომჭრელი ერთსა და იმავე სასჯელს იმსახურებდა. მიუხედავად ამისა, ისტორია მაინც ყალბდებოდა, ყალბდებოდა ყველა ეპოქაში, ყველა სახელმწიფოში. გაყალბების მოტივი სხვადასხვა იყო, შედეგი ერთი: მოტყუებული, წაგებული, დაზარალებული რჩებოდა საზოგადოება, ხალხი.

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია გაყალბებულია. ამ ზოგადი ფრაზის უკან იმალება არც თუ სასიამოვნო ისტორია. მიუხედავად ამისა, ეს ისტორია უნდა ვიცოდეთ. ნაშრომის მიზანი არ ყოფილა ვინმეს განქიქება, არც ვინმესთვის „უხერხული წარსულის“ შესხენება. პოლიტიკურმა რეჟიმმა უამრავი ისტორიკოსი აიძულა, ჭეშმარიტებისათვის შეეცოდა, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც. ჩვენ გვწამს: ახლა საბჭოთა რეჟიმის დამხობის შემდეგ თავის მართლება კიდევ უფრო ამძიმებს ჩადენილ ცოდვას, ახლა ცოდვების აღიარების უამრავი.

პროფ. ვახტანგ გურული

23 აპრილი, 2011 წელი

თავი I. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის (XIX-XXI სს.) შესწავლის
საკითხისათვის

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის (XIX-XXI საუკუნეები) ისტორიოგრაფიამ განვითარების რამდენიმე პერიოდი განვლო. ჩვენი აზრით, ეს პერიოდები შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ.

პირველი პერიოდი. რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფია (XIX საუკუნის დამდეგი – 1917 წელი). ამ დროს საქართველოს ისტორიას ძირითადად რუსი ისტორიკოსები (ნიკოლაი დუბროვინი, ადოლფ ბერჟე, ვასილი პოტტო, პეტრე ბუტკოვიდა სხვ.) სწავლობენ. რუსი ისტორიკოსები ხელისუფლების დაკვეთით უხეშად აყაღებდნენ საქართველოს ახალ ისტორიას. რუსებთან ერთად საყურადღებო ნაშრომები გამოაქვეყნეს ქართველმა მკვლევარებმა პლატონ იოსელიანმა, სიმონ ავალიანმა, სიმონ ესაძემ, ზურაბ ავალიშვილმა და სხვებმა. თავისი არსით ესეც ოფიციალური ისტორიოგრაფია იყო. ამავე პერიოდში გამოქვეყნდა ისეთი ნაშრომებიც, რომელთა ავტორები დაუპირისპირდნენ არა მარტო ოფიციალურ ისტორიოგრაფიას, არამედ პოლიტიკური რეჟიმის ნებას (ივანე ჯავახიშვილი, ნიკოლოზ დურნოვო, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ეპისკოპოსი კირიონი (გიორგი სამაგლიშვილი), არქიმანდრიტი ამბროსი (ამბროსი ხელაია), თედო სახოკია, მღვდელი კალისტრატე ცინცაძე, მიხეილ კვლენჯერიძე და სხვ.)

მეორე პერიოდი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიოგრაფია (1918-1921 წწ.). ამ პერიოდში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას პრაქტიკულად ფართო მასშტაბები არ მიუღია, გამოიკა სულ რამდენიმე წიგნი, რომელთაც მხოლოდ წყაროთმცოდნეობითი ღირებულება გააჩნია. ამავე პერიოდში გამოქვეყნდა პოლიტიკურ მოღვაწეთა (ნოე ჟორდანიას, ივანე გომართელის, გრიგოლ რცხილაძე, გიორგი ჟორდანიას და სხვ.) ნაშრომები, რომელთაც გამოკვლევებს ვერ მივაკუთვნებთ, თუმცა ეპოქის შესასწავლად გარკვეული მნიშვნელობა მაინც ენიჭება.

მესამე პერიოდი. საბჭოთა ისტორიოგრაფია (1921-1991 წწ.). ამ პერიოდში მიმდინარეობდა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის წარმოუდგენელი მასშტაბით გაყაღება. ამ თვალსაზრისით საბჭოთა ისტორიოგრაფიამ რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიას ბევრად გადააჭარბა. ისტორიის გაყაღების საძრახის საქმეს სათავეში ედგნენ ფილიპე მახარაძე და გიორგი ხაჭაპურიძე. სულ რამდენიმე მკვლევარმა (სიმონ ხუნდაძემ, სარგის კაკაბაძემ, ლეო გორგილაძემ,

უშანგი სიღამონიძემ, ალექსანდრე ბენდიანიშვილმა, ლევან თოიძემ) შეძლო მეცნიერული ღირებულების მქონე გამოკვლევების შექმნა.

მეოთხე პერიოდი. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია (XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან დღემდე). XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან ქართველმა ისტორიკოსებმა დაიწყეს იმ მძიმე მემკვიდრეობის დაძლევა, რაც დაგვიტოვა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. ამ მიმართულებით მოპოვებულია გარკვეული წარმატებები. ამასთან ერთად შეინიშნება რამდენიმე უარყოფითი ტენდენცია, რომელიც ხელს უშლის, აფერხებს ისტორიოგრაფიის წინსვლას.

1. რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფია (1801-1917 წწ.)

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის (XIX საუკუნის დამდეგიდან XXI საუკუნის დამდეგამდე) მეცნიერული კვლევა თავიდანვე ვერ დადგა სათანადო დონეზე. უფრო ზუსტად, საქართველოს ისტორიის ამ უაღრესად რთული და საინტერესო პერიოდის შესწავლა დაიწყო უხეში ფალსიფიკაციით, რაც პოლიტიკური მოსახრებით იყო გაპირობებული.

საქართველოს ახალი ისტორიის გაყალბება დაიწყო რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიამ. რუსულ ისტორიოგრაფიას სრულიად კონკრეტული მიზანი ამოძრავებდა: რუსეთის დიდმპყრობლური პოლიტიკის გამართლება, ცხადია, წარმოდგენილი იყო საქართველოს ისტორიის გაყალბების გარეშე. რუსი ისტორიკოსებისათვის არც არსებობდა ქართველი ერის, საქართველოს ისტორია. რუსულ ისტორიოგრაფიას არ აუხსნია უმთავრესი: პრორუსული ორიენტაციის შედეგები ქართული სამეფო-სამთავროებისათვის. უფრო მეტიც, არ აუხსნია XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროცესები. წინა პლანზე წამოიწია იმ საკითხების კვლევამ, რომლებიც საქართველოში რუსეთის დამკვიდრების „პროგრესულობის“ დასამტკიცებლად გამოდგებოდა. რუსული ისტორიოგრაფია საგანგებოდ ჩქმალავდა იმ ფაქტს, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში მოვიდა არა როგორც საქართველოს მსხველი, არამედ როგორც მესამე დამპყრობელი (ირანისა და ოსმალეთის შემდეგ). ყოველივე ამის ფონზე მთლიანად გაყალბდა, ან მიიჩქმალა XIX საუკუნის დამდეგიდან რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული ეროვნული მოძრაობის ისტორია.

რუსული ისტორიოგრაფია მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. აუცილებელი იყო პასუხი კითხვებზე: თუ რუსეთი საქართველოს

მსხნელი იყო, ხოლო საქართველო რუსეთს ნებაყოფლობით შეუერთდა, მაშინ 1802 წელს რატომ დაიწყო უკვე ძლიერი ანტირუსული მოძრაობა საქართველოში? რატომ გადაუარა 1804-1820 წლებში მთელ საქართველოს (ქართლს, მთიანეთს, კახეთს, იმერეთს) ანტირუსული ეროვნული აჯანყებების ტალღამ, რომლის ჩახშობა რუსეთმა რეგულარული არმიის საშუალებით მოახერხა და რომელსაც ათასობით ქართველის სიცოცხლე ემსხვერპლა? რატომ გადაწყვიტა 1832 წელს ქართველი ერის ელიტარულმა ნაწილმა რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა? რატომ დაიწყო საქართველოში XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან დიდი ეროვნული მოძრაობა? მართალია, რუსული ისტორიოგრაფია ცდილობდა თავი აერიდებინა პირდაპირი პასუხისათვის, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა პასუხი აუცილებელი იყო, ურცხვად აცხადებდა: ანტირუსული მოძრაობა საქართველოში გარე ძალის (ირანის, ოსმალეთის) მიერ იყო ინსპირირებული. იყო სხვაგვარი პასუხიც: ქართველები არა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების პოლიტიკით იყვნენ უკმაყოფილონი, არამედ ცალკეული რუსი მოხელეების უხეშობით და უაზრო სიმკაცრით (იხ.: **П. Зубов.** Подвиг русских войнов в странах кавказских с 1800 по 1834 год. СПб., 1836; Исторический обзор утверждения русского владения на Кавказе и за Кавказом. – „Кавказ“, 1846, №2, 12, 13, 34, 68, 69, 70; 1850, №№39, 40, 51; **И. Кравцов.** Кавказ и его военачальник Н. Н. Муравьев, А. И. Барятинский и Н. И. Евдокимов 1854-1864 гг. [S. L.], [S. D.]; **Ад. Берже.** Присоединение Грузии к России 1799-1831. – „Русская Старина“, 1864, том 28, май, стр. 1-34; июнь, стр. 159-178; июль, стр. 363-384; **Н. Дубровин.** Тысяча восемьсот второй год в Грузии. – „Вестник Европы“, 1868, том II, март, стр. 9-52; апрель, стр. 537-584; том III, май, стр. 213-270; **Н. Колюбакин.** По случаю крестьянского вопроса в Имеретии, Гурии и Мингрелии. Москва, 1869; **В. Потто.** Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях. Том I-IV. СПб., 1885-1888; **П. Ковалевский.** Георгии XII, последний царь Грузии и присоединения ее к России. СПб., 1897; **С. Кишмишев.** Последние годы грузинского царства. Тифлис, 1898; Исторический очерк кавказских войн от их начала до присоединения Грузии. Тифлис, 1899; **Грушков.** Очерки истории Грузии и присоединение ее к России. Тифлис, 1900; **Н. Волков.** Присоединение Грузии к России. Владикавказ, 1900; **П. Ковалевский.** Завоевание Кавказа Россией. СПб., [S. D.]; **Покоренный Кавказ.** Книга I-V. СПб., 1904; **В. Потто, Н. Аносов, В. Помкеев.** Время Алексея Петровича Ермолова. 1816-1826 годы. Тифлис, 1904; **А. Дьячков-Тарасов.** Абхазия и Сухум в XIX столетии. – „Известия кавказского отделения Императорского русского географического общества“, 1909-1910, том XX, №2, стр. 149-210).

ქართველი ერის ისტორიისა და რუსეთის კავკასიური პოლიტიკის გაყალბების მიუხედავად, რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიამ, წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნის თვალსაზრისით, სერიოზული სამუშაო ჩაატარა. არქივებში გამოვლენილი იქნა დიდძალი მასალა. ცხადია, გამოქვეყნებული მასალების ნაწილი ტენდენციურადაა შერჩეული, მაგრამ დოკუმენტების ნაწილი უადრესად საინტერესოა (იხ.: **П. Ковалевский**. Завоевание Кавказа Россией. СПб., [S. D.]; Акты, собранные Кавказского археографическою комиссиею. Под редакцией **Ад. Берже**. Том I-XII. Тифлис, 1866-1904; **Н. Дубровин**. Закавказье от 1803-1806 года. СПб., 1866; **Н. Дубровин**. Георгий XII – последний царь Грузии и присоединение ее к России. СПб., 1867; **П. Бутков**. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. Часть I-III. СПб., 1869; **Н. Дубровин**. История войны и владения русских на Кавказе. Том I-VI. СПб., 1871-1888; **В. Потто**. Кавказская война отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях. Том I-IV. СПб., 1885-1888; **П. Ковалевский**. Георгий XII – последний царь Грузии и присоединение ее к России. СПб., 1897; Утверждение русского владения на Кавказе. Под редакцией **В. Потто**. Том I-IV. Тифлис, 1901-1908; **В. Иваненко**. Гражданское управление Закавказьем. Тифлис, 1901).

რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიის კვალბაზე საქართველოს ახალი ისტორიის, უფრო ზუსტად, მისი საწყისი პერიოდის (XVIII საუკუნის მიწურული – XIX საუკუნის დამდეგი) გაყალბებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართველ ისტორიკოს **პლატონ იოსელიანს**. მეფე გიორგი XII-დმი მიძღვნილი მისი ნაშრომი ბევრი გაუგებრობის წყარო გახდა (იხ. გამოცემები: **პ. იოსელიანი**. ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება. ტფილისი, 1867; მეორე გამოცემა, ტფილისი, 1895; მესამე გამოცემა, ტფილისი, 1930). **პ. იოსელიანის** ნაშრომი დაწერილია რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიის პოზიციებიდან (შდრ.: Исторический очерк владения русских за Кавказом. Часть I. От прихода войск русских в Тифлис до вступления в должность главноуправляющего Грузиею генерал-лейтенанта князя Цицианов. 26 ноября 1799 по 4 декабря 1802 года [S. L.], [S. D.]; **Н. Дубровин**. Георгии XII – последний царь Грузии и присоединение ее к России. Издание первое, СПб., 1867; Издание второе, СПб., 1897;). **პ. იოსელიანი** რუსოფილი იყო, ამიტომ მოულოდნელი სულაც არ იყო, რომ იგი რუსი ისტორიკოსების შეხედულებებს იზიარებდა და საქართველოს ისტორიას აყალბებდა. **პ. იოსელიანის** მსოფლმხედველობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მის მიერ 1867 წელს თბილისის სასულიერო სემინარიასა და 1861 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებაზე წარმოთქმული

სიტყვები (იხ.: **П. Иоселиани**. Речь, 3-го февраля 1861 г. в одном из собраний дворянства Тифлисской губернии в 1861 г. [S. L.] [S. D.]; **П. Иоселиани**. Речь, произнесенная в зале Тифлисской духовной семинарии по поводу торжества пятидесятилетия 1 октября 1867 года. Тифлис, 1867;). პ. იოსელიანმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ბევრი საეჭვო წყაროთმცოდნეობითი ღირებულების მქონე დოკუმენტი, დაეყრდნო თანამედროვეთა (თვითმხილველთა) მოგონებებს, რომელთა უმრავლესობა ტენდენციური იყო და ობიექტურად არ ასახავდა ისტორიულ სინამდვილეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პ. იოსელიანისაგან განსხვავებით საქართველოს ახალი ისტორიის შესწავლას დიდი ღვაწლი დასდეს ს. ესაძემ და ს. ავალიანმა (**С. Эсадзе**. Историческая записка об управлении Кавказом. Том I-II. Тифлис, 1907; **С. Авалиани**. Крестьянский вопрос в Закавказии. Том I-IV. Одесса-Тифлис, 1912-1920). ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნის მიზნით გაწეულ დიდი მუშაობას. სხვა თვალსაზრისით ეს იყო ჩვეულებრივი რუსული იმპერიული ისტორიოგრაფია. ეს განსაკუთრებით ითქმის ს. ესაძეზე (იხ.: **С. Эсадзе**. К 300-летию дома Романовых. Исторический очерк распространения русской власти на Кавказе. Тифлис, 1913; **С. Эсадзе**. Покорение Западного Кавказа и окончание кавказской войны. Тифлис, 1914). რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიის პოზიციიდანაა დაწერილი ზურაბ ავალოვის (ავალიშვილის) ნაშრომი „Присоединение Грузии к России“ (Издание первое, СПб., 1901; Издание второе, СПб., 1906).

რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიას ემიჯნება და ეროვნული პოზიციებიდან აშუქებს საქართველოს ახალი ისტორიის საკითხებს ა. ყიფშიძე (ფრონელი) (იხ.: **ა. ფრონელი**. მთიულეთი 1804 წ. ტფილისი, 1896; **ა. ფრონელი**. ამბობება კახეთისა. ტფილისი, 1907).

რუსეთის იმპერიის პოლიტიკური რეჟიმის პირობებში შესაძლებელი გახდა ხელისუფლებისათვის მიუღებელი ზოგიერთი ნაშრომის გამოქვეყნება (იხ.: **Епископ Кирион**. Краткий очерк истории Грузинской Церкви и Эгзархата за XIX столетие. Тифлис, 1901; **შალვა გოგელია**. ჩვენი მტრები და მეგობრები. ტფილისი, 1905; **ივანე გომართელი**. ეროვნული საკითხი. ტფილისი, 1906; **Ив. Джавахов**. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. СПб., 1906; **К. Цинцадзе**. Историческая справка по вопросу об автокефальности грузинской церкви. Тифлис, 1906; **არჩილ ჯორჯაძე**. სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში. ტფილისი, 1907; **Н. Дурнов**. Исторический очерк автокефальных церквей: Иверской и Имеретинской. Москва, 1910; **ნოე ჟორდანიას** რჩეული ნაწერები. ტფილისი, 1911; **არჩილ ჯორჯაძე**. თხზულებანი. წიგნი I-V.

ტვილისი, 1911-1914; **А. Цагарели.** Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу. СПб., 1912 და სხვ.).

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიოგრაფია (1918-1921 წწ.)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობის პერიოდში, მთელი რიგი მიზეზების გამო, ვერ გადაიდგა აუცილებელი ნაბიჯები ქართული ისტორიოგრაფიის ხელშეწყობის მიზნით. გარდა ამისა, არასრულ სამ წელში (1918 წლის მაისი – 1921 წლის მარტი) პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზება და გამოკვლევების შექმნა. მიუხედავად ამისა, უკვე 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ გადაიდგა პირველი ნაბიჯები, გამოქვეყნდა საინტერესო ნაშრომები. ამ პერიოდის გამოცემებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ დოკუმენტებისა და მასალების უმნიშვნელოვანესი კრებულები: „Документы и материалы по внешней политике Закавказья“. Тифлис, 1919 და „Из истории армяно-грузинских отношений. 1918 год (Пограничные конфликты, переговоры, война, соглашение). Тифлис, 1919. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ცალკე ნაკვეთების სახით საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომების ოქმებისა და სტენოგრამების გამოქვეყნება. სხვა კრებულიდან შეიძლება დავასახელოთ: „ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების პირველი ყრილობა თბილისში“ (თბილისი, 1917), „ამიერკავკასიის მთავრობის მიწის კანონები“ (თბილისი, 1918), „მემუარი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სახელმწიფოებსა და ერებს“ (თბილისი, 1918), „26 მაისი, 1918. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება“ (თბილისი, 1919), „ჩვენი დამოუკიდებლობა“ (თბილისი, 1920) და სხვ. მეცნიერული და პოპულარული გამოცემებიდან ყურადღებას იმსახურებს **გიორგი ჟორდანიას** „აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია (მცირე ისტორიულ-იურიდიული მიმოხილვა)“ (თბილისი, 1917); **გრ. ვეშაპელის** „Единство Грузии и русский протекторат“ (Тифлис, 1917) და „საქართველო და რუსეთი“ (თფილისი, 1919); **ივანე გომართელის** საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია ანუ ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობა“ (თბილისი, 1917); **გრ. რცხილაძის** „ამიერკავკასიის თვითმმართველობა“ (ტფილისი, 1917); **თედო დღონტის** „ავტონომია და ფედერაცია“ (ტფილისი, 1917); „რისთვის და როგორ შეუერთდა საქართველო რუსეთს“ (თბილისი, 1920); **პეტრე სურგულაძის**

„დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა“ (სტამბოლი, 1918) და „საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“ (სტამბოლი, 1918); დ. ოყროშიძის „საქართველო და რუსეთი. XVIII-XIX საუკუნის მოკლე ისტორიული მიმოხილვა“ (ქუთაისი, 1918). 1921 წლიდან საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომების გამოქვეყნება გაგრძელდა საზღვარგარეთ, ემიგრაციაში. ემიგრაციაში გამოცემული ნაშრომების განხილვა ცალკე თემაა და ამჯერად მას არ შევეხებით.

3. საბჭოთა ისტორიოგრაფია (1921-1991 წწ.)

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის გაყალბების მეორე ეტაპი საბჭოთა (კომუნისტურ) ისტორიოგრაფიას უკავშირდება. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ისტორიოგრაფიის წინაშე სრულიად გარკვევით აყენებდა ახალი და უახლესი ისტორიის გაყალბების საკითხს. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას პირველ რიგში აინტერესებდა, პოლიტიკური სისტემის ინტერესებიდან გამომდინარე, გაეშუქებინათ ისტორია დიდი სოციალური მოძრაობის – ნაროდნიკების (ხალხოსნობის) წარმოშობიდან (XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან) ვიდრე 1917 წლამდე (ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლამდე) და, ცხადია, შემდგომი პერიოდებიც. სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში პოლიტიკური რეჟიმის შეკვეთის უკეთ შესრულებისა და მკვლევარებზე კონტროლის დაწესების მიზნით შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები: საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოციალისტური აკადემია (1918 წ.), რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკების) და ოქტომბრის რევოლუციის ისტორიის კომისია – პარტიის (1920 წ.), კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ინსტიტუტი (1921 წ.), წითელი პროფესურის ინსტიტუტი (1921 წ.), ვ. ი. ლენინის ინსტიტუტი (1923 წ.). 1931 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება გაერთიანდა და შეიქმნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება – საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი იყო ისტორიის ფალსიფიკაციის უმთავრესი კერა.

1921 წლიდან საბჭოთა რუსეთში დაწესებული პროცესი საქართველოზეც გავრცელდა. 1923 წელს შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის კომისია

– პარტიის. 1930 წელს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა ახალი დაწესებულება – მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტიც წარმოადგენდა საქართველოში ისტორიის ფალსიფიკაციის უმთავრეს კერას.

1921 წლიდან საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ფალსიფიკაციის საქმე შემთხვევითი, არაპროფესიონალი ადამიანების ხელში აღმოჩნდა. პირველი ნაშრომები ყველა განზომილებით იმდენად სუსტია, რომ ხშირად პროტესტის ნაცვლად ღიმილს იწვევს. ასეთ ნაშრომთა შორის უნდა მოვიხსენიოთ: „1917 წლის რევოლუციამდე დაღუპული ამხანაგების ხსოვნას“ (ტფილისი, 1923 წ.), „საქართველოს კომპარტიის ძველი გვარდია“ (ტფილისი, 1925 წ.), **ს. თალაკვაძის** „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის“ (ტფილისი, 1925 წ.), **თ. ჟღენტის** „1905 წელი გურიაში“ (ტფილისი, 1925). ფილიპე მახარაძე ცდილობდა, რომ საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ფალსიფიკაციის საქმე პირად კონტროლზე აეყვანა. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი ნაშრომი „თბილისის ორგანიზაციის 30 წ. არსებობა. მოსამზადებელი ხანა (1870-1890)“ (ტფილისი, 1925). ფილიპე მახარაძე ესწრაფოდა თავისი მემუარებით გავლენა მოეხდინა ისტორიოგრაფიაზე. 1924 წელს დაიბეჭდა ფ. მახარაძის თხზულებათა კრებული პირველი ტომი. პირველ ტომში შევიდა ავტორის მიერ 1896-1902 წლებში დაწერილი ნაშრომები. პირველი ტომი იწყება ფ. მახარაძის მოგონებებით – „როგორ გავხდი მარქსისტი“ (იხ.: **ფ. მახარაძე**, თხზულებანი. ტ. I. ტფილისი, 1924). ფ. მახარაძის კიდევ ერთი მოგონება – „კომპარტიის ისტორიისათვის ამიერკავკასიაში. პირადი მოგონებანი“ 1923 წელს გამოქვეყნდა. (იხ.: რევოლუციის მატინე“, 1923, №2, გვ. 39-68). 1927 წელს ფილიპე მახარაძემ თბილისში რკინიგზელთა მუშფაკში წაიკითხა ლექცია „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის“. იმავე წელს მოხსენება ცალკე წიგნად გამოიცა (იხ. **ფ. მახარაძე**, საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის. ტფილისი, 1927). თავისი ნაშრომებითა და მემუარებით ფილიპე მახარაძემ უკვე XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებისათვის შექმნა საქართველოს ისტორიის გააზრებისათვის ყალბი სქემა, საგანგებოდ შეარჩია ის მასალა, რომელიც ისტორიის გაყალბებისათვის გამოდგებოდა. ყოველივე ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ისტორიის ფალსიფიკატორებს ახალ ამოცანებს უსახავდა. ამ საძრახის საქმეს სათავეში ჩაუდგნენ უკვე გამოცდილი ფილიპე მახარაძე და მისი შედარებით ახალგაზრდა თანამოაზრე გიორგი ხაჭაპურიძე (პერაშკოვი).

ფილიპე მახარაძემ თავისი ყოვლისშემძლეობა ირწმუნა. საქართველოს ახალი ისტორიის ფალსიფიკაციაში ისე გაერთო, რომ იოსებ სტალინის სურვილსაც აღარ უწევდა ანგარიშს. ფილიპე მახარაძეს ეს აპატიეს. ისტორიის ფალსიფიკაციის ახალი მიზნები და ამოცანები, ი. სტალინის მოწოდების თანახმად, ამჯერად ლავრენტი ბერიამ ჩამოაყალიბა. მან 1935 წლის 21-22 ივლისს თბილისში წაიკითხა მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკების ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელიც იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა (ტფილისი, 1935). 1945 წელს ამ წიგნის მეექვსე გამოცემა გამოვიდა (იხ.: **ლ. ბერია**. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის. თბილისი, 1945). **ლ. ბერიას** მოხსენების შემდეგ ფილიპე მახარაძემ ლიდერის ფუნქცია დაკარგა. პოზიციებს ინარჩუნებდა გიორგი ხაჭაპურიძე. (იხ.: **ფ. მახარაძე**. 1905 წელი ამიერკავკასიაში. ტფილისი, 1926; **Ф. Махарадзе**. Очерки революционного движения в Закавказии. Часть I-II. Тифлис, 1927; **И. Шахдин**. Революция 1905 года в Закавказии. Тбилиси, 1930; **Г. Хачапуридзе**. Гурийское восстание в 1841 году. Тифлис, 1931; **Ф. Махарадзе, Г. Хачапуридзе**. Очерки по истории рабочего и крестьянского движения в Грузии. Москва, 1932; **გ. ხაჭაპურიძე**. გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში. თბილისი, 1932; **გ. ხაჭაპურიძე**. გურიის აჯანყება 1841 წელს. თბილისი, 1932; **Ф. Махарадзе**. Грузия в XIX столетии. Тифлис, 1933; **გ. ხაჭაპურიძე**. საქართველოს XIX და XX საუკუნის ისტორია. თბილისი, 1940; **გ. ხაჭაპურიძე**. 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში. თბილისი, 1941). მასობრივი ტირაჟით გამოცემულმა მაკულატურამ წალეკა ყველაფერი. საბჭოთა ისტორიოგრაფია ვითომ პრინციპულად ემიჯნებოდა რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიას, მაგრამ სინამდვილეში ორივეს ერთი მთავარი აერთიანებდა: როგორც რუსეთის იმპერიის, ისე საბჭოთა ისტორიოგრაფიას უნდა დაემტკიცებინა საქართველოში რუსეთის დამკვიდრების პროგრესული ხასიათი. უფრო მეტიც, რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფია დროდადრო არ მაღავედა იმ ფაქტს, რომ რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ხოლო საბჭოთა ისტორიოგრაფია დიდი მონღოლებით ამტკიცებდა, რომ დაპყრობას ადგილი არ ჰქონია და რომ საქართველო რუსეთმა ნებაყოფლობით შეიერთა. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიის კვალობაზე უხეშად გააყალბა XIX საუკუნის დამდგის ქართული ეროვნული მოძრაობა: 1802 წლის კახეთის პოლიტიკური გამოსვლის, 1804 წლის მთიანეთის, 1812 წლის კახეთისა და 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებები, ასევე 1832 წლის შეთქმულება. ცხადია, თვით ეროვნული აჯანყებების ფაქტს საბჭოთა ისტორიოგრაფია ვერ უარყოფდა. ამიტომ იყო, რომ XIX საუკუნის დამდგის

ეროვნული აჯანყებები სოციალურ მოძრაობად გამოცხადდა, ხოლო 1832 წლის შეთქმულება რეაქციონერი ქართველი თავადაზნაურობის უკმაყოფილების გამოვლინებად შეირაცხა (იხ.: **Ф. Махарაძე. Г. Хачапуридзе.** Очерки по истории рабочего и крестьянского движения Грузии. Тифлис, 1932; **Ф. Махарაძე.** Грузия в XIX столетии. Тбилиси, 1933; **გ. ხაჭაპურიძე.** საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორია. თბილისი, 1940; **Г. Хачапуридзе.** К истории Грузии первой половины XIX в. Тбилиси, 1950; **Г. Хачапуридзе.** Дворянское движение в Грузии в 30-х годах XIX столетия. – „Вопросы истории“, 1950, №7). ფალსიფიკაციის სხვა, უფრო დახვეწილი მეთოდი იქნა გამოყენებული XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით დაწყებული დიდი ეროვნული მოძრაობის მიმართ. იგი რუსეთის ე. წ. რევოლუციურ-გამანთავისუფლებელ (ე. ი. სოციალურ) მოძრაობას (ა. გერცენი, ნ. დობროლუბოვი, ნ. ჩერნიშევსკი და სხვ.) დაუკავშირეს, მის ქართულ გამოვლინებად წარმოადგინეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ **სამოციანელთა შესხედულებებში სოციალური ეროვნულზე წინაც კი დააყენეს, რითაც ეროვნული მოძრაობის ისტორია უხეშად გააყალბეს.** საბჭოთა ისტორიკოსებმა, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ მოძრაობას, ილია ჭავჭავაძესა და სამოციანელებს ვერ დააკლეს, ათმაგად აუნაზღაურეს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგის პოლიტიკურ მიმდინარეობებსა და პარტიებს (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, ანარქისტები, ესერები), გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს: ნოე ჟორდანიას, არჩილ ჯორჯაძეს, ვარლამ ჩერქეზიშვილს და მრავალ სხვას. ყველა ისინი ერთბაშად მონათლეს „ბურჟუაზიის იდეოლოგებად“, „ნაციონალისტებად“, „შოვინისტებად“, „მშრომელი მასების მტრად“ და ა. შ. (იხ.: **გ. ხაჭაპურიძე.** ნოე ჟორდანია და მეფის „ოსრანკა“. საარქივო დოკუმენტები. ტფილისი, 1931; **Г. Хачапуридзе.** Жордания, Рамишвили и К°-о в борьбе против октябрьской революции. – „Борьба классов“, 1933, №6; **Ф. Махарაძე.** Грузия в XIX столетии. Тбилиси, 1933; **ვ. იმედაძე.** სალტიკოვ-შჩედრინი და ქართული საზოგადოებრიობა. – „კომუნისტი“, 1939, №305, გვ. 3; **ვ. იმედაძე.** ჩერნიშევსკი და საქართველო. – „კომუნისტი“, 1939, №249, გვ. 3; **გ. ხაჭაპურიძე.** საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორია. თბილისი, 1940; **პრ. რატიანი.** ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური შესხედულებანი. თბილისი, 1948; **პრ. რატიანი.** ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და პოლიტიკური შესხედულებანი. თბილისი, 1949).

XX საუკუნის 50-60-იან წლებში, ისევე როგორც 20-30-იან წლებში, რუსი ისტორიკოსები დროდადრო შეახსენებდნენ ხოლმე ქართველ ისტორიკოსებს, თუ

როგორ უნდა გაეშუქებინათ, უფრო ზუსტად, გაეყალბებინათ საქართველოს ახალი ისტორია (იხ.: **О. Маркова.** Финансово-экономическое обследование Грузии в первой трети XIX в. – „Исторические записки“, 1949, т. 30, стр. 172-210; **М. Нечкина.** К вопросу о формуле „Наименьшее зло“. – „Вопросы истории“, 1951, №4; **О. Маркова.** Восстание в Кахетии 1812 г. Москва, 1951; **А. Фадеев.** Россия и Кавказ в первой трети XIX в. Москва, 1960). რუსი ისტორიკოსები არც მომდევნო ხანებში (XX საუკუნის 70-80-იან წლებში) იკავებდნენ თავს და კვლავ სთავაზობდნენ ქართველ ისტორიკოსებს რუსეთის კავკასიური პოლიტიკის გაშუქებისათვის სქემებსა და დასკვნებს (იხ.: **Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII – начало XX вв.** Под редакцией **Н. Кинянина.** Москва, 1978; **Н. Кинянина, М. Блиев, В. Дегоев.** Кавказ и Средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII века – 80-е годы XIX в. Москва, 1984).

საქართველოს უახლესი ისტორიის (1918 წლიდან XXI საუკუნის დამდეგამდე) გაყალბებამ კიდევ უფრო გაუგონარი მასშტაბები მიიღო. საბჭოთა ისტორიკოსები მეტად რთული პრობლემების წინაშე იდგნენ. მათ საქართველოს ისტორიიდან უნდა ამოეგდოთ დიდი ეპოქა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეპოქა (1918-1921). ფალსიფიკატორთა უსუსურობა პირველი ნაშრომებიდანვე ცხადი გახდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ისტორიის გაყალბება დაიწყო მაშინვე, როგორც კი საბჭოთა რუსეთმა საქართველო დაიპყრო (1921 წლის თებერვალ-მარტი). უკვე 1921 წელს მოსკოვში გამოიცა კრებული სათაურით: „Российская Социалистическая Федеративная Советская Республика и Грузинская Демократическая республика, их взаимоотношения“ (Москва, 1921). ეს კრებული შედგენილი იყო საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მასალების მიხედვით და მისი მიზანი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციისა და ანექსიის გამართლება. მოსკოვი „მკვლევარებსაც“ მოაშველებდა ხოლმე საბჭოთა საქართველოს (იხ.: **Я. Шафир.** Гражданская война в России и меньшевистская Грузия. Москва, 1921; **Я. Шафир.** Тайна меньшевистского царства. Тифлис, 1921). საბჭოთა ისტორიოგრაფიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნაცვლად საზოგადოებას შეაჩენა პრობლემა – ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში. საკითხი ფაქტობრივად ასე დადგა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კი არ არსებობდა, არამედ 1917-1921 წლებში მიმდინარეობდა ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. დიდ პრობლემას, რომელიც ასევე გადასაჭრელი ჰქონდა საბჭოთა ისტორიოგრაფიას, წარმოადგენდა საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დაცემისა და საბჭოთა ხელისუფლების ისტორიული აუცილებლობის დასაბუთება (იხ.: **Ф. Махарадзе.** Диктатура меньшевистской партии Грузии. Тифлис, 1921; **М. Цхакая.** Грузия и Армения под пятой империалистов. Тифлис, 1925; **А. Ставровский.** Закавказье после октября. Москва-Ленинград, 1925; **მ. ორახელაშვილი.** ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წ. თბილისი, 1927; **ა. ურუშაძე.** ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917-1918 წწ. ქუთაისი, 1927; **ფ. მახარაძე.** საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917-1921. ტფილისი, 1927; **Ф. Махарадзе.** Советы и борьба за советскую власть в Грузии 1917-1921 гг. Тифлис, 1928; **Г. Хачапуридзе.** Контрреволюционный грузинский меньшевизм на службе у дворянства. – „Борьба классов“, 1932, №6; **Г. Хачапуридзе.** Закавказье накануне 1917 г. – „Историк-марксист“, 1933, №5; **Г. Хачапуридзе.** Пролетариат Грузии в борьбе за власть в 1919 году. – „История пролетариата СССР“, 1935, №2; **გ. ხაჭაპურიძე.** ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის საქართველოში. ნარკვევები. 1917-1921. თბილისი, 1938). ისტორიის ქართველ ფალსიფიკატორებს 1917-1921 წლების ისტორიის გაყალბებაში, ისევე როგორც წინათ, ხშირად „რუსული ძალები“ წამოეხმარებოდნენ ხოლმე (იხ.: **Я. Шафир.** Очерки грузинской жиронды. Москва-Ленинград, 1925; **Я. Шафир.** Куда ведут меньшевики. Тифлис, 1926; **С. Сеф.** Революция 1917 года в Закавказье. Документы и материалы. Тифлис, 1927; **С. Сеф.** „Демократическое правительство“ Грузии и английское командование. Тифлис, 1928; **Е. Драбкин.** Грузинская контрреволюция. Ленинград. 1928).

ამ სიყალბეს დაემატა მეორე დიდი სიყალბე: საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია თითქმის საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიად წარმოადგინეს. საქართველოს ისტორია მხოლოდ საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ფონად იქცა და მეორადი (დამხმარე) მნიშვნელობა შეიძინა. საქართველოს ახალმა და უახლესმა ისტორიამ სამოქალაქო უფლება დაკარგა. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის კვლევა უპერსპექტივო გახდა. XX საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოს უახლეს ისტორიაში მონოგრაფიის შექმნა ან დისერტაციის დაცვა დიდ მორალურ კომპრომისთან იყო დაკავშირებული. ამიტომ იყო, რომ პერსპექტიული ახალგაზრდობა საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის კვლევას არჩევდა. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის კვლევა, რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა, მედროვეთა ხელში აღმოჩნდა. მკვლევარები, რომელთაც სიყალბის სამსახურში ჩადგომა არ იკადრეს, მუდმივი კრიტიკისა და დევნის ობიექტად იქცნენ. საბოლოოდ, XX საუკუნის 20-30-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიამ არა თუ საქართველოს

ახალი და უახლესი ისტორია ვერ შეისწავლა, არამედ თვით საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიაც მთლიანად გააყალბა, ვერც ერთი ძირითადი პრობლემა მეცნიერულად ვერ დაამუშავა. ან რა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაზე შეიძლებოდა საუბარი, როცა ისტორიული პროცესების სქემა და დასკვნები მზამზარეული სახით მოდიოდა მოსკოვიდან, საქართველოში მხოლოდ შესაბამისი მასალის შეგროვება წარმოებდა და სამეცნიერო მუშაობაც ამით შემოიფარგლებოდა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლას ხელს უშლიდა კიდევ ერთი სერიოზული ფაქტორი. საქართველოს უახლესი ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის აუცილებელი მასალა 1921 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ბოლო წლებამდე არქივებში საიდუმლოდ იყო დაცული, რაც იდეოლოგიური ზეწოლის არარსებობის პირობებშიც კი გამორიცხავდა ობიექტური ისტორიის შექმნის შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა სარგის კაკაბაძის „ქართველი ხალხის ისტორია. 1783-1921“. ეს ნაშრომი XX საუკუნის 30-იან წლებში იწერებოდა, თუმცა მხოლოდ 1997 წელს გამოქვეყნდა. ს. კაკაბაძის ნაშრომი მოკლედ შეიძლება ასე შევაფასოთ: ესაა პროტესტი XX საუკუნის 20-30-იან წლებში გამეფებული (დაკანონებული) სიყალბის წინააღმდეგ. საკვირველი სულაც არ არის, რომ ავტორმა წიგნის გამოცემა 30-იან წლებში ვერ მოახერხა. ამ წიგნს არც 40-იან და არც 50-იან წლებში არ დაბეჭდავდნენ. ს. კაკაბაძის „ქართველი ერის ისტორია“ ეფუძნება უმდიდრეს წყაროთმცოდნეობით ბაზას, განსაკუთრებით ეს ეხება სოციალური და ეკონომიკური განვითარების ისტორიას. ს. კაკაბაძემ არ იკადრა ისეთი პოლიტიკური ისტორიის დაწერა, როგორსაც ითხოვდა საბჭოთა ხელისუფლება. მან პოლიტიკური ისტორია 1783 წლიდან 1921 წლამდე წარმოადგინა ისე, რომ ხარკი არ მოუხდია გამეფებული უზნეობისათვის. წიგნში წარმოდგენილი ყველაზე მცირე მოცულობის საკითხი (სულ წიგნში 281 საკითხია განხილული) სერიოზული მონოგრაფიული კვლევის შედეგია და ავტორის დიდ ერუდიციასზე მეტყველებს.

ჩვენ ზემოთ შევეხეთ საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის გაყალბების მიზეზებს, იმ ჩავარდნებს, რომლებიც ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას გააჩნდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში იყო წარმატებული ცდა, საქართველოს ახალი ისტორიის კვლევა თავიდანვე სწორ ნიადაგზე დაეყენებინათ. ეს ცდა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის. ივანე ჯავახიშვილს, ჯერ კიდევ რუსეთში მოღვაწეობის ქამს, შესანიშნავად ჰქონდა გაცნობიერებული საქართველოს ახალი ისტორიის გაყალბების ყველა უარყოფითი შედეგი როგორც იმჟამინდელი

საქართველოსათვის, ისე მომავალი თაობებისათვის. 1906 წელს ივანე ჯავახიშვილი რუსულ ენაზე აქვეყნებს ნაშრომს „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.“ (СПб., 1906). ამ ნაშრომით ივანე ჯავახიშვილმა განსაზღვრა საქართველოს ახალი ისტორიის კვლევის ძირითადი მიმართულებები, მეცნიერულად ახსნა ეროვნული და სოციალური მოძრაობის რთული პროცესები, გააკეთა ისეთი უმნიშვნელოვანესი დასკვნები, რომელთაც საპროგრამო მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი თაობის მკვლევართათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილის ეს ნაშრომი და მასში გაკეთებული დასკვნები მიუღებელი იყო რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის (ივანე ჯავახიშვილი სასჯელს ძლივს გადაურჩა). იგივე ნაშრომი მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემისათვის (ნაშრომი დიდხანს აკრძალული იყო). ეს დამთხვევა შემთხვევითი ხასიათის არ ყოფილა.

სამწუხაროდ, შემდეგში ივანე ჯავახიშვილს საქართველოს ახალი ისტორია აღარ უკვლევია. მისი დრო და ენერგია საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის კვლევამ შეიწირა. **1921 წლის შემდეგ ივანე ჯავახიშვილს სურვილიც რომ ჰქონოდა საქართველოს ახალი ისტორიის კვლევისა, XX საუკუნის 20-30-იანი წლების პოლიტიკურ ატმოსფეროში ამას ვერ შეძლებდა.** ივანე ჯავახიშვილის მოწაფეებიც – **სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის კვლევით შემოიფარგლებოდნენ.** ამ გადაწყვეტილების მოტივი მოწაფეებს ალბათ იგივე ჰქონდათ, რაც მასწავლებელს. 1940 წელს ხელნაწერის უფლებით გამოვიდა სახელმძღვანელოს მაკეტი – „**საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე**“. მაკეტის შემდგენლები იყვნენ **სიმონ ჯანაშია, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და გიორგი ხაჭაპურიძე.** სახელმძღვანელოს მაკეტი 557 გვერდს მოიცავდა. მაკეტი უშუალოდ იოსებ სტალინის შეკვეთით დაიწერა. ეს საპასუხისმგებლო საქმე თავის დროზე ლავრენტი ბერიამ სიმონ ჯანაშიას მიანდო. მაკეტის განხილვისა და გადამუშავების შემდეგ 1943 წელს გამოიცა **ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორია. ნაწილი I. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“.** გამოცემა ს. ჯანაშიას რედაქციით განხორციელდა. ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ ისინი, რომელთაც პირველ რიგში ხელეწიფებოდათ საქართველოს ახალი ისტორიის მეცნიერული გააზრება, სწორედ იმ საბედისწერო ზღვარზე (XIX საუკუნის დამდეგი) შეჩერდნენ. ამ სახელმძღვანელოს გაგრძელება – XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის დაწერა – **გიორგი ხაჭაპურიძეს** ჰქონდა დავალებული. ავტორმა ნაშრომი დაწერა კიდევ, მაგრამ იგი იმდენად სუსტი და დიდი სიყალბის შემცველი აღმოჩნდა, რომ

სიმონ ჯანაშია კატეგორიულად აღუდგა წინ ნაშრომის ოფიციალურ აღიარებას. გიორგი ხაჭაპურიძის ეს ნაშრომი არა თუ სიმონ ჯანაშიას რედაქციით გამოსული სახელმძღვანელოს გაგრძელებად (მეორე ნაწილად) გამოცხადდა, არამედ საერთოდ აიკრძალა და საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ბოლო პერიოდამდე ბიბლიოთეკების სპეცფონდებში ინახებოდა (იხ.: **გ. ხაჭაპურიძე**, საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორია. თბილისი, 1940).

მოგვიანებით ნიკო ბერძენიშვილი ძალზე დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს ახალი ისტორიისადმი, თავისი რჩევებითა და მითითებებით დახმარებას უწევდა ახალგაზრდა მკვლევარებს, რასაც არცთუ მცირე მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, ნიკო ბერძენიშვილს არ შეეძლო საქართველოს რუსეთთან შეერთებისათვის დაპყრობა ეწოდებინა, მაგრამ ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე ძალზე მოხერხებულად მიანიშნა ჯერ კიდევ 1954 წელს (**ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა. – „მნათობი“, 1954, №6). საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული სიყალბის წინააღმდეგ პროტესტი გამოსტყვივის ნიკო ბერძენიშვილის რეცენზიაში აბელ კიკვიძის ნაშრომზე – „საზოგადოებრივი პოლიტიკური მოძრაობა XIX საუკუნეში“ (იხ.: ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I. თბილისი, 1955, გვ. 469-471).

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური სისტემა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას სრულიად გარკვევით უყენებდა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ფალსიფიკაციის მოთხოვნას, საღი აზრის, ჭეშმარიტების დათრგუნვა ბოლომდე მაინც ვერ მოხერხდა. XX საუკუნის 20-30-იან წლებში სიმართლის წერა გმირობის ტოლფასი იყო. სწორედ მეცნიერული სინდისიერებისა და მოქალაქეობრივი გამბედაობის საუკეთესო ნიმუშია **სიმონ ხუნდაძის** მოღვაწეობა. სიმონ ხუნდაძემ პირველმა აიმაღლა ხმა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ნოე ჟორდანიას და სხვათა შეხედულებების არასწორად შეფასების წინააღმდეგ (იხ.: **ს. ხუნდაძე**, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. ტომი I-II. ტფილისი, 1927; **ს. ხუნდაძე**, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში. ტფილისი, 1927). მაგრამ პოლიტიკურმა რეჟიმმა ს. ხუნდაძეც აიძულა ზოგიერთ კომპრომისზე წასულიყო (იხ.: **ს. ხუნდაძე**, ქართული მენშევიზმი და მისი სოციალური საფუძველი. – წიგნში: **ს. ხუნდაძე**, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში. ტფილისი, 1927, გვ. 73-124). მკვლევარი იძულებული გახდა შეკვეთილ თემებზე ეწერა (იხ.: **ს. ხუნდაძე**, თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები. ტფილისი, 1923). თუმცა ს. ხუნდაძის თავგანწირვას უკვალოდ არ

ჩაუვლია. ჯერ კიდევ 20-იან წლებში სიმონ ხუნდაძეს გვერდში ამოუდგა და XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიის საკითხებზე პოლიტიკური სისტემისათვის მიუღებელი შეხედულებანი განავითარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და მკვლევარმა გრიგოლ გიორგაძემ (იხ.: **გრ. გიორგაძე**. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე. 1864-1905. ტფილისი, 1928).

სიმონ ხუნდაძის ნაშრომები საბჭოთა ხელისუფლებისათვის პოლიტიკური თვალსაზრისით იყო მიუღებელი. სწორედ ამით იყო გაპირობებული მკვლევარის დევნა და შევიწროვება. XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ტოტალიტარული რეჟიმის არსებობის პირობებში, ზოგიერთმა მკვლევარმა შეძლო მეტ-ნაკლები მეცნიერული ღირებულების გამოკვლევების შექმნა. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, თუ საკვლევი თემა პოლიტიზირებული არ იყო და რაიმე კუთხით არ ეხებოდა ხელისუფლების ინტერესებს. ამ შემთხვევაში მკვლევარს მეტი თავისუფლება ეძლეოდა. ეს მომენტი კარგად გამოიყენა **შალვა ჩხეტიამ**. მისი გამოკვლევები და საარქივო დოკუმენტებისა და მასალების პუბლიკაციები იმ ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებით საინტერესოა შ. ჩხეტიას წყაროთმცოდნეობითი ძიებანი (იხ.: **შ. ჩხეტია**. რუსეთის დიდი რევოლუცია. ტფილისი, 1930; **შ. ჩხეტია**. თბილისის ისტორიისათვის. თბილისი, 1938; **შ. ჩხეტია**. ამქრების ისტორიიდან. – საქართველოს მუზეუმის „მოამბე“, 1940, ტ. X B, გვ. 49-88; **შ. ჩხეტია**. ტფილისის ისტორიიდან. – ენიშკის „მოამბე“, 1940, ტ. V-VI, გვ. 177-207; **Ш. Чхетия**. Тбилиси в 1860-х годах. Тезиси. Тбилиси, 1940; **შ. ჩხეტია**. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე. თბილისი, 1948). იგივე შეიძლება ითქვას **ალექსანდრე ფირცხალაიშიელის** რამდენიმე ნაშრომზე (იხ.: **А. Пирцхалайшвили**. К истории выступления тбилисских амкаров в 1865 г. – „Исторические записки“, 1940, том VIII, стр. 208-241; **ა. ფირცხალაიშიელი**. თბილისის ამქრების 1865 წლის გამოსვლის ისტორიისათვის. – თსუ შრომები, 1940, ტ. XI, ნაკვეთი I, გვ. 33-82). სიმონ ხუნდაძის მსგავსად პოლიტიკური რეჟიმის წინაშე კომპრომისზე წასვლა შ. ჩხეტიასაც მოუწია (იხ.: **შ. ჩხეტია**. გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1863 წელს. ტფილისი, 1937).

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას ისტორიის ფალსიფიკაციაში დიდ დახმარებას უწევდა ისეთი ოფიციალური გამოცემები (დოკუმენტები და მასალები, სტატისტიკა, სტატიები და სხვ.), რომელთაც მკაცრი ცენზურა ჰქონდათ გავლილი. ამ კრებულებში ვერ მოხვდებოდა ისეთი მასალა, რომელიც თავისი შინაარსით

ეწინააღმდეგებოდა პოლიტიკური რეჟიმის მიზნებს (იხ.: საბჭოთა საქართველოს რვა წელი. კრებული. ტფილისი, 1929; საბჭოთა საქართველო ციფრებში. 1921-1929. ტფილისი, 1929; საბჭოთა საქართველოს ათი წელი (1921-1931). მასალები მომხსენებლებისათვის. ტფილისი, 1931; საბჭოთა საქართველოს ათი წელი. ტფილისი, 1931; საბჭოთა საქართველოს 10 წელი. სტატისტიკური კრებული. ტფილისი, 1931; საბჭოთა საქართველოს XX წელი. მასალები. თბილისი, 1941; საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 20 წელი (სტატისტიკური კრებული). თბილისი, 1941; საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 20 წლისთავისათვის (სტატიები და დოკუმენტები). თბილისი, 1941). ფალსიფიცირებული სტატისტიკის, დოკუმენტებისა და მასალების გამოცემა გაგრძელდა შემდგომ ათწლეულებში.

XX საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების ნებართვით გამოიცა რამდენიმე ისეთი ნაშრომი, რომელიც, ერთი შეხედვით, არ უნდა დაბეჭდილიყო. ამ გამოცემებს საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკური მიზნით იყენებდა. საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ლიდერების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრიტიკა. იმხანად მნიშვნელობა აქ ჰქონდა, ვინ განაქიქებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიას. სწორედ ამ მიზნით გამოიცა თბილისში **ზურაბ ავალიშვილის** წიგნი „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ (პირველი გამოცემა. ტფილისი, 1925; მეორე გამოცემა. ტფილისი, 1929), **გიორგი მაზნიაშვილის** „მოგონებანი. 1917-1925“ (ტფილისი, 1927). ამ გამოცემებმა მიზანს მიაღწიეს. იმხანად დამკვიდრებული მცდარი შეფასებები დღესაც ფართოდ რეკლამირდება ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსთა (საბჭოთა ისტორიოგრაფიის) ნაღვაწს რომ ვაფასებთ, გასათვალისწინებელია შემდეგი. ისტორიის გაყალბება, თავისთავად, დიდი ცოდვა იყო, მაგრამ საქმე, ხშირ შემთხვევაში, ამით არ მთავრდებოდა. ყალბისმქმნელი ისტორიკოსები დიდი აგრესიულობით ებრძოდნენ ყველას, ვისაც კი ჭეშმარიტი ისტორიის წერის მისწრაფება გაუჩნდებოდა. ცხადია, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის გაყალბების დამკვეთი საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა მხარეზე იდგა, რაც ყალბისმქმნელთა გამარჯვების საწინდარს წარმოადგენდა. ისტორიკოსების ნაწილი, ვინც პოლიტიკური რეჟიმის დაწოლას ვერ უძლებდა, ადრე თუ გვიან ხელისუფლების სამსახურში დგებოდა. ისინი, ვინც

მორალურ კომპრომისზე არ მიდიოდნენ, მუდმივ დევნასა და შევიწროვებას განიცდიდნენ. მათ არც ნაშრომებს უბეჭდავდნენ და არც პედაგოგიური მოღვაწეობის უფლებას აძლევდნენ. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის კვლევის პროცესს მკაცრად აკონტროლებდნენ ფილიპე მახარაძე და გიორგი ხაჭაპურიძე. მათ გარშემო შეკრებილი მედროვეები დიდი შემართებით ებრძოდნენ „სხვაგვარი აზრის“ ნებისმიერი ფორმით გამოვლინებას (იხ.: **გ. ად-ლი.** როგორ არ უნდა იწერებოდეს ინტელიგენციის ისტორია. – ამხ. ს. ხუნდაძის „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნეში“ გამოსვლის გამო. – ჟურნალი „მნათობი“, 1927, №2, გვ. 240-246). საქართველოს ისტორიის, მათ შორის ახალი და უახლესი ისტორიის გაყალბება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს 1930 წელსა და 1936 წელს გამართული ე. წ. დისკუსიები (იხ.: ივანე ჯავახიშვილი ტირანის სამსჯავროს წინაშე. დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 30-იანი წლები). გამოსაცემად მოამზადეს **მერაბ ვაჩნაძემ** და **ვახტანგ გურუღმა**. თბილისი, 2004).

XX საუკუნის მეორე ნახევარში (მეორე მსოფლიო ომის წლებში და ომის შემდეგ) მოღვაწე ისტორიკოსთა ნაშრომებში, კერძოდ, 40-50-იან წლებსა და შემდგომ ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში აშკარად იგრძნობა ფილიპე მახარაძისა და გიორგი ხაჭაპურიძის მიერ დამკვიდრებული სიყალბის გავლენა (იხ.: **აბ. კიკვიძე.** გლეხთა აჯანყება კახეთში. თბილისი, 1941; **ს. ბერიძე.** 1917-1921 წლები საქართველოში. თბილისი, 1941; **ი. ხუციშვილი.** რევოლუციური მოძრაობა 1900-1904 წლებში და 1905 წელი გორის მაზრაში. თბილისი, 1941; *Германские оккупанты в Грузии в 1918 году. Сборник документов и материалов.* Тбилиси, 1942; **А. Пирцхалайшвили.** Имеретия и Гурия в период 1804-1840 гг. Тбилиси, 1942; **Н. Махарадзе.** Восстание в Имеретии 1819-20 гг. Тбилиси, 1942; **М. Габричидзе.** Г. Дзидзария. Аграрная политика меньшевиков в Абхазии. – Труды сухумского пединститута, 1943, том II, стр. 61-94; **მ. დუმბაძე.** სამეგრელოს სამთავრო 1803-1857 წწ., თბილისი, 1943; **ი. ურუშაძე.** რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და საქართველო. თბილისი, 1947; **В. Имедадзе.** Из истории культурных связей Грузии и России в XIX столетии. Тбилиси, 1947; **გ. ტოგონიძე.** მთიანეთის აჯანყება 1804 წლისა. თბილისი, 1948; **მ. ცერცვაძე.** რევოლუციური მოძრაობა 1902-1905 წწ. გურიაში. თბილისი, 1948; **მ. ქონიაშვილი.** ქართველი პარტიზანები ჰოლანდიაში. თბილისი, 1948; **Г. Дзидзария.** Абхазия 1917-1918 годах. Тбилиси, 1948; **ნ. ჩახვაშვილი.** ქართველი კომკავშირელები სამამულო ომის ფრონტებზე 1941-1945 წწ. თბილისი, 1949; **პრ. რატიანი.** ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი. თბილისი, 1949; **И.**

Каландадзе. Присоединение Грузии к России. Тбилиси, 1949; **В. Каджая.** Очерки по истории народного образования в Грузии. Тбилиси, 1949; **ვ. ტოგონიძე.** ქართლის მთიანეთის აჯანყება 1804 წ. თბილისი, 1951; **ი. ხუციშვილი.** 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში. თბილისი, 1955). ისტორიკოსთა ნაწილმა ამ გავლენას თავი ვერც შემდგომ ხანებში, XX საუკუნის 50-60-იან წლებში დააღწია (იხ.: **აკ. სურგულაძე.** ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1914-1921 წწ.). თბილისი, 1954; **ი. მეღვინაძე.** ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის. თბილისი, 1954; **ქ. ანთიძე.** ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში. თბილისი, 1955; **ვ. ესაიაშვილი.** ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ. თბილისი, 1956; **Н. Стурца.** Из истории борьбы за создание и укрепление большевистской организации Закавказья (1893-1904 гг.). Тбилиси, 1956; **გრ. ჟვანია.** საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში 1921-1925. თბილისი, 1956; **Г. Жвания.** В. И. Ленин и Кавказский союз РСДРП. Тбилиси, 1956; **ა. იოსელიანი.** საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან 1941-1945 წწ. თბილისი, 1957; **ვლ. მერკვილაძე.** საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის 1921-1922 წწ. თბილისი, 1957; **Г. Хачапуридзе.** Победа советской власти в Грузии. Москва, 1957; **გრ. ჟვანია.** ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. თბილისი, 1957; **აკ. სურგულაძე.** ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917-1918 წწ.). თბილისი, 1957; **მ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 1957; **М. Церцвадзе.** Революционное движение в Грузии 1914-1917 гг. Часть I-II. Москва-Тбилиси, 1957-1960; საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში 1941-1945. თბილისი, 1958; **ა. იოსელიანი. Н. Чахвашвили.** Рабочее движение в Грузии (1870-1904 гг.). Тбилиси, 1958; **ნ. ჩახვაშვილი.** საქართველოს კომკავშირი დიდი სამამულო ომის პერიოდში 1941-1945. თბილისი, 1958; **ვ. ესაიაშვილი.** ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები. 1895-1924. თბილისი, 1959; **გრ. ბრეგაძე.** ქართველი სოციალისტური ერის ისტორიისათვის. თბილისი, 1959; **ლ. ებანოძე.** საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში. თბილისი, 1959; **А. Киквидзе.** Колхозное строительство в Грузии. Тбилиси, 1961; **ვლ. მერკვილაძე.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა საქართველოში. თბილისი, 1961; **გ. გამსახურდია.** მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის ისტორიიდან (1917-1929 წწ.). თბილისი, 1962; **გრ. ჟვანია.**

ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეებისათვის. თბილისი, 1963; **М. Думбадзе.** Из истории борьбы грузинского народа против колониальной политики Русского Царизма. – „Вестник отдела общественных наук Академии Наук ГССР, 1963, №5; **Н. Стурца.** Грузия в 1917 году. Тбилиси, 1964; **ო. მირცხულავა.** აგრარულ-გლეხთა საკითხი საქართველოში 1900-1917 წლებში. თბილისი, 1964; **მ. ნათმელაძე.** საქართველოს მუშათა კლასის კონსოლიდაცია 1921-1925 წწ. თბილისი, 1965; **მ. ქონიაშვილი.** ქართველი მეომრები დიდი სამამულო ომის ფრონტებზე 1941-1945 წწ. თბილისი, 1965; **დ. გოგოხია.** ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში (1921-1925 წწ.). თბილისი, 1965; **ნ. მახარაძე.** სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში. თბილისი, 1966; **მ. ჯიჯეიშვილი.** მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში (1917-1921 წწ.). თბილისი, 1966; **ს. შარიქაძე.** საქართველოს მუშათა კლასი ომის შემდგომ პერიოდში. 1945-1963 წწ. თბილისი, 1966; **ი. კაჭარავა.** ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები. თბილისი, 1966; **ი. მირცხულავა.** ლენინური კოოპერატიული გეგმის განხორციელება საქართველოში. თბილისი, 1968; **ლ. ებანოძე.** ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი საქართველოში. თბილისი, 1968; **ი. კაჭარავა.** კ. მარქსი და ფ. ენგელსი საქართველოს შესახებ. თბილისი, 1969; **ზ. შველიძე.** რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“. თბილისი, 1969), ნაწილმა კი კომუნისტური იდეოლოგიის განუყოფელი ბატონობის პირობებშიც შეძლო, ნაწილობრივ მაინც, ეთქვა სიმართლე და, ამდენად, სიცრუის განუყოფელი ბატონობისათვის ზღვარი დაედო (იხ.: **ლ. გორგილაძე.** ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბილისი, 1961; **აკ. სურგულაძე.** ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა. თბილისი, 1968; **აკ. სურგულაძე.** ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი, 1973). უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ არც ერთ უარყოფით (დამღუპველ) ტენდენციასზე ყურადღება არ არის გამახვილებული ქართული ისტორიოგრაფიისადმი მიძღვნილ ისეთ გამოკვლევაში, როგორცაა **ი. კაჭარავას** „ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები“ (თბილისი, 1962).

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის გაყალბება მხოლოდ „მონოგრაფიების“ გამოცემით არ ხდებოდა. გამოდიოდა დოკუმენტებისა და მასალების კრებულები. ამ კრებულებში დაბეჭდილი დოკუმენტები მკაცრი ცენზურის პირობებში შეირჩეოდა ხოლმე. დღის სინათლე არ უნდა ეხილა ისეთ

დოკუმენტს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ დადგენილ სიყალბეს (იხ.: Революция 1905-1907 гг. в Грузии. Сборник документов. Тбилиси, 1956; Борьба за победу советской власти Грузии. Документы и материалы (1917-1921 гг). Тбилиси, 1958).

XX საუკუნის 50-60-იან წლებში და ნაწილობრივ შემდგომ ხანებში საკმაოდ აქტუალური იყო პრობლემა – XIX საუკუნის რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის ომები და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადასვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. გამოიცა რამდენიმე ნაშრომი. ყველა ამ ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს მადლიერების გრძობა „უფროსი ძმისადმი“. ამ ნაკლის მიუხედავად, ზოგიერთი ნაშრომი ფაქტობრივი მასალის სიუხვით გამოირჩევა და, ამდენად, გარკვეულ მნიშვნელობას დღესაც არ კარგავს (იხ.: ე. ბურჭულაძე. ყირიმის ომი და საქართველო. თბილისი, 1960), ნაშრომების ნაწილი კი ფაქტოლოგიითაც არ იმსახურებს ყურადღებას (იხ.: **Ш. Мегреладзе**. Грузия в русско-турецкой войне 1877-1878 гг. Батуми, 1955; **Ш. Мегреладзе**. Закавказье в русско-турецкой войне 1877-1878 гг. Тбилиси, 1872; **ნ. ქორთუა**. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. თბილისი, 1964; **ნ. ქორთუა**. ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში. თბილისი, 1978).

ამ თვალსაზრისით სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს შოთა ლომსაძის მონოგრაფია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება XIX საუკუნის პირველ ნახევარში სამცხე-ჯავახეთისათვის მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის ომებსა და მის შედეგებს (იხ.: **შ. ლომსაძე**. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბილისი, 1975). საინტერესოა ლეიზა შენგელიას მონოგრაფია, რომელიც XIX საუკუნის პირველი მესამედის რუსეთ-ირანის ურთიერთობას ეძღვნება. ცხადია, გამოკვლევაში სათანადო ყურადღება ეთმობა რუსეთ-ირანის ომებსა და მის შედეგებს საქართველოსათვის (იხ.: **ლ. შენგელია**. ამიერკავკასია და ირან-რუსეთის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში. თბილისი, 1979). XIX საუკუნის რუსეთ-ოსმალეთის ომები და მისი შედეგები საქართველოსათვის წარმოდგენილია ოთარ გიგინეიშვილის ნაშრომში (იხ.: **ო. გიგინეიშვილი**. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982).

XX საუკუნის 50-60-იან წლებთან შედარებით 70-80-იან წლებში გაცილებით უკეთესი პირობები შეიქმნა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის კვლევისათვის. პოლიტიკური სისტემის კრიზისი თავისთავად ახალისებდა ანტიკომუნისტურ, ანტისაბჭოთა აზროვნებას. მიუხედავად ამისა, ისტორიკოსთა დიდი ნაწილი პროზიციის შეცვლას არ ჩქარობდა, ისტორიის გაყალბება კვლავ

გრძელდებოდა (იხ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1957; **რ. გრძელიძე**. სსრ კავშირის შექმნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი. თბილისი, 1962; **გრ. ჯვანია**. Великий Октябрь и борьба большевиков Закавказья за советскую власть. Тбилиси, 1967; **გ. საითიძე**. სამსონ მამულია. თბილისი, 1969; **კ. ცკიტიშვილი**. Закавказье в годы Великой Отечественной Войны 1941-1945 гг. Тбилиси, 1969; **გ. ბრეგვაძე**. საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება. თბილისი, 1970; **მ. გაფრინდაშვილი**. კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ზოგიერთი საკითხი ვ. ი. ლენინის შრომებში. თბილისი, 1970; **მ. ნათმელაძე**. საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორია. ნაწილი 1-2. თბილისი, 1970-1975; **კ. შელია**. საქართველოს კომუნისტური პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში. თბილისი, 1970; **ა. ბენდიანიშვილი**. სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრები საქართველოში. თბილისი, 1971; **გრ. ჯვანია**. Боевой отряд ленинской партии. Тбилиси, 1971; **შ. თეთვაძე**. საქართველოს კომუნისტური პარტია მუშათა კლასის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ორგანიზატორი 1926-1932 წწ. თბილისი, 1972; **პ. ლომავილი**. Великий переворот. Тбилиси, 1972; **ვლ. მერკვილაძე**. სსრ კავშირის შექმნისათვის ბრძოლაში. თბილისი, 1973; **კ. ცკიტიშვილი**. Закавказье в партизанской войне 1941-1945 гг. Тбилиси, 1973; **ლ. თოიძე**. საქართველოს კომპარტია ლენინიზმისათვის ბრძოლაში. თბილისი, 1974; **გ. ჯანგველაძე**. საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903-1923 წწ.). თბილისი, 1974; **მ. ქონიაშვილი**. ქართველი ხალხის საბრძოლო მამაცობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. თბილისი, 1975; **გ. საითიძე**. სახელოვანი რევოლუციონერი ქალები. თბილისი, 1975; **ვლ. მერკვილაძე**. ლენინური პარტიის კლასობრივი ბუნებისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ. თბილისი, 1975; **პრ. რატიანი**. ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე. თბილისი, 1975; **ს. ჩხარტიშვილი**. სტახანოვური მოძრაობიდან შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობამდე. თბილისი, 1975; **ი. ბაბალაშვილი**. Вклад Грузии в общее дело победы над фашизмом (1941-1945 годы). Тбилиси, 1975; **გ. ყორანაშვილი**. მარქსი და ენგელსი კაპიტალიზმამდე ფორმაციების შესახებ. თბილისი, 1976; **მ. ჯიჯეიშვილი**. საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა მეცხრე ხუთწლედის შესრულებისათვის. თბილისი, 1976; **გ. საითიძე**. კომკავშირი და სოციალისტური შეჯიბრება. თბილისი, 1977; **ი. ბაბალაშვილი**. Грузинская ССР в годы Великой Отечественной Войны 1941-1945. Тбилиси,

1977; **Гр. Жвания.** Победа Великого Октября в Закавказье. Тбилиси, 1977; **ბ. გუბელიძე.** ქართული მენშევიზმის კრახი. თბილისი, 1978; **ე. კუპატაძე.** ევაკუირებული სამრევველო საწარმოების, დაწესებულებებისა და მოსახლეობის მიღება და განლაგება საქართველოში საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941-1945 წწ.). თბილისი, 1978; **გ. ციციშვილი.** საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის მეორე ხუთწლედში. თბილისი, 1978; **მ. სამსონაძე.** საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში. თბილისი, 1980; **მ. გაფრინდაშვილი.** სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფის გზები საქართველოს მთის სოფელში. თბილისი, 1981; **აკ. სურგულაძე.** Прогрессивные последствия присоединения Грузии к России. Тбилиси, 1982; **ვ. გურული.** ქართველების მონაწილეობა პარტიზანულ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში. თბილისი, 1985; **გ. საითიძე.** საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ქმედითობის ამაღლებისათვის. თბილისი, 1985; **აკ. ირემაძე.** ჩვენი სერგო (ორჯონიკიძე). თბილისი, 1986; **ავ. მენტეშაშვილი.** ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია სოციალისტური რევოლუციის შესახებ საქართველოში. თბილისი, 1987; **რ. გრძელიძე.** სოციალიზმის სრულყოფა და ეროვნული ურთიერთობა. თბილისი, 1987; **გ. გურული.** საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა ისტორიულ-პარტიული მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის (1921-1941). თბილისი, 1988). ისტორიის ფალსიფიკაცია მიმდინარეობდა ყველა რესპუბლიკაში, მათ შორის სომხეთსა და აზერბაიჯანშიც. ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ისტორიკოსთა ერთობლივი ნაყალბევი ისტორია 1971 წელს გამოიცა თბილისში სათაურით „Победа советской власти в Закавказье“ (Тбилиси, 1971). ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა უშანგი სიღამონიძის ნაშრომი „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია 1917-1921 წწ.“ (თბილისი, 1970). ამ ნაშრომმა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების დიდი გულისწერომა გამოიწვია, სიმართლის თქმა ავტორს ძვირად დაუჯდა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მაქსიმე ბერძნიშვილის „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“ (თბილისი, 1980) და ალექსანდრე ბენდიანიშვილის გამოკვლევა „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ.“ (თბილისი, 1980). ყურადღების ღირსია ფარნაოზ ლომაშვილის სერიოზული მცდელობა, აეღორძინებინა და დაეცვა თავის დროზე ს. ხუნდაძისა და ლ. გორგილაძის მიერ წამოყენებული სწორი დებულებები XIX საუკუნის მეორე

ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის შესახებ (ფ. ლომაშვილი, ზ. გეგეშიძე. მარქსიზმ-ლენინიზმის გავრცელება საქართველოში (1892-1904). თბილისი, 1986).

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის (XIX-XX სს.) გაყალბება, მასობრივი ტირაჟით გამოცემული უამრავი სამარცხვინო ნაშრომი საფუძველს უდებდა საქართველოს ისტორიის არაობიექტურად, დამახინჯებულად აღქმას, საგანგებოდ მიჩქმალური უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა და გმირების ნაცვლად საზოგადოებას შეაჩქეს გამოგონილი მოვლენები და ცრუ გმირები. საზოგადოების დეზორიენტაციის თვალსაზრისით, კიდევ უფრო დიდ უარყოფით მოვლენას წარმოადგენდა გაყალბებული ისტორიის სახელმძღვანელოებში (მათ შორის საშუალო სკოლის) გადატანა. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია (XIX-XX სს.) უხეშად იქნა გაყალბებული 1958 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში (იხ.: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პრ. რატიანი. საქართველოს ისტორია. სახელმძღვანელო VII-X კლასებისათვის. თბილისი, 1958). თვალშისაცემი იყო ის, რომ სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი (უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე), რომლის ავტორები იყვნენ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, დაწერილია ივანე ჯავახიშვილის სკოლის მიღწევებზე დაყრდნობით, ხოლო XIX-XX საუკუნეების ისტორია არსებითად გაყალბებულია. იგივე ითქმის პრ. რატიანის, აბ. კიკვიძის, ი. კაჭარავასა და აკ. სურგულაძის „საქართველოს ისტორიაზე“ (იხ.: პრ. რატიანი, აბ. კიკვიძე, ი. კაჭარავა, აკ. სურგულაძე. საქართველოს ისტორია. ტ. II. დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1962). საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის გაყალბების თვალსაზრისით, არაფერი შეცვლილა, პირიქით, გაუარესდა კიდევ 1968 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში (ლ. ციხისთავი, ილ. მახარაძე, მ. ცერცვაძე. საქართველოს ისტორია. VII-X კლასების სახელმძღვანელო. თბილისი, 1968). 1960 წელს გამოიცა საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელო (იხ.: ი. კაჭარავა, ნ. მახარაძე, ნ. სტურუა, აკ. სურგულაძე. საქართველოს ისტორია. ტომი III. დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი, 1960), რომლის რუსული ვარიანტი (რუსულ ვარიანტს დაემატა რამდენიმე ავტორი) 1968 წელს გამოიცა (იხ.: Ю. Качарава, Н. Махарадзе, Н. Стуря, А. Сургуладзе, Ц. Каландадзе, М. Кочишвили, М. Натмеладзе, С. Чхартишвили. История Грузии. III. Учебное пособие. Тбилиси, 1968). ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა – საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის არსებითი გაყალბება განუხრელად გრძელდებოდა.

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოებზე როდესაც ვსაუბრობთ, საგანგებოდ უნდა შეგხერდეთ ახელ კიკვიძის სახელმძღვანელოებზე. 1954 წელს გამოცემული აბ. კიკვიძის „საქართველოს ისტორია. XIX ს.“ (თბილისი, 1954), ისევე როგორც 1959 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორია (XIX-XX სს.)“ (თბილისი, 1959) საბჭოთა ისტორიოგრაფიის ბატონობის პირობებში გარკვეულ სიახლეს წარმოადგენდა. ავტორის მიერ მოძიებული მანამდე უცნობი საარქივო მასალა, უცნობი ფაქტები და მოვლენები თავისთავად ეჭვქვეშ აყენებდნენ დამკვიდრებულ სიცრუეს. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით აბ. კიკვიძის სახელმძღვანელოზე – „საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში.“ ნაწილი III (თბილისი, 1967). საბჭოთა საქართველოს ისტორიის გაშუქებისას ავტორმა სერიოზულად შესცოდა ჭეშმარიტებას. 1977 წელს აბ. კიკვიძემ გამოსცა გადამუშავებული ვარიანტი ადრე გამოცემული სახელმძღვანელოებისა – „საქართველოს ისტორია. 1801-1890“ (თბილისი, 1977). პრინციპულ სხვაობას 1954-1959 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებთან 1977 წლის გამოცემაში ვერ ვხვდებით.

საერთო ჯამში, ქართულმა ისტორიოგრაფიამ ახალი და უახლესი ისტორიის, განსაკუთრებით ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ცალკეულ ისტორიკოსთა ნაშრომებს რომ არ შევეხოთ, საკმარისი იქნებოდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის მეოთხე ტომის ბოლო სამი თავის, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე ტომებისა და „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის“ სამტომეულის დასახელება (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტ. IV-VIII. თბილისი, 1973-1980; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. სამ ნაწილად. თბილისი, 1971-1986). ეს ორი გამოცემაც კმარა იმის დასტურად, თუ რა დონეზე ხდებოდა საქართველოს ისტორიის, ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების გაყალბება, როგორ იქმნებოდა გამოჩენილ მოღვაწეთა როლი საქართველოს ისტორიაში, როგორ იქმნებოდა ცრუ გმირების გაღერვა.

შევეხოთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულს უფრო ვრცლად. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულიდან ახალი და უახლესი ისტორიისადმი (XIX-XX სს.) მიძღვნილი ტომების (მეოთხე ტომის ბოლო მონაკვეთი, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე ტომები) უფრო ვრცლად შეფასება ჩვენ ორი მიზეზის გამო გადავწყვიტეთ: პირველი. ამ გამოცემაში შეჯამდა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაღვაწი; მეორე. პოლიტიკური რეჟიმის შეკვეთისა და საბჭოთა ცენზურის პირობებშიც კი შეიძლებოდა საქართველოს

ახალი და უახლესი ისტორია (XIX-XX სს.) გაცილებით უკეთესად დაწერილიყო. ამ შემთხვევაში პოლიტიკური რეჟიმის ცენზურას დაემატა ისტორიკოსთა შინაგანი ცენზურა. ნარკვევების ავტორებმა ჭეშმარიტების საზიანოდ იმაზე მეტი დათმეს, რასაც მათგან პოლიტიკური რეჟიმი ითხოვდა. დათმობამ პოლიტიკური რეჟიმისადმი და ნარკვევების ავტორთა შინაგანმა ცენზურამ განაპირობა ის, რომ საქართველოს ისტორიის ნარკვევებში ახალი და უახლესი ისტორია ძალზე უფერულად წარმოჩინდა, იმდენად უფერულად, რომ მკითხველს ნებისყოფის დიდი დაძაბვა სჭირდება ამ სქელტანიანი ტომების გადაკითხვისას.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რეაქომეულის **მეთხე ტომის** ბოლო ნაწილში (მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე თავებში) XIX საუკუნის პირველი მესამედის ისტორიაა წარმოდგენილი (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბილისი, 1973, გვ. 802-856). მეთექვსმეტე თავი – „ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება“ (ავტორი მ. დუმბაძე) კარგადაა დაწერილი. ესაა გამოკვლევა, რომლის ავტორმა რთულ ამოცანას გაართვა თავი – მკითხველს ძირითადად სიმართლე მოუთხრო, თუმცა ალაგ-ალაგ პოლიტიკური რეჟიმის დაკვეთასაც გაუწია ანგარიში (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. თბილისი, 1973, გვ. 802-843). იგივე ითქმის მეჩვიდმეტე თავზე – „იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართველოში“ (ავტორი მ. დუმბაძე). ამ თავშიც ისეთი დოკუმენტური მასალაა წარმოდგენილი და კომენტირებული, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად ეწინააღმდეგებოდა პოლიტიკური რეჟიმის ინტერესებს (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. თბილისი, 1973, გვ. 844-889). საკმაოდ დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული მეთვრამეტე თავი – „ბრძოლა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის XIX ს. პირველ მესამედში“ (ავტორები: დ. გოგოლაძე, მ. გოცაძე). ამ სირთულეს ავტორებმა კარგად გაართვეს თავი და XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული მოძრაობისა და 1832 წლის შეთქმულების ისტორია ძირითადად ობიექტურად წარმოადგინეს (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. თბილისი, 1973, გვ. 915-956). სამწუხაროდ, სათანადო დონეზე არ არის გაშუქებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროების შესვლა რუსეთის ქვეშევრდომობაში (ავტორი მ. დუმბაძე) (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. თბილისი, 1973, გვ. 844-886, 888-889). გაცილებით უკეთესად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი რუსეთ-ირანის 1804-1813 წლებისა და 1826-1828 წლების, რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლებისა და 1828-1829 წლების ომები და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადანაწილების

საკითხი (ავტორი მ. დუმბაძე). აქ აშკარად იგრძნობა ფაქტობრივი მასალის სიმწირე. ნაშრომის ეს ნაწილი სუსტია სამხედრო ისტორიის თვალსაზრისითაც (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. თბილისი, 1973, გვ. 874-888).

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ **მეხუთე ტომი** („საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში“), რომლის რედაქტორია ირაკლი ანთელავა, ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება შეფასდეს. ტომი 1970 წელს გამოიცა და მისი ავტორები არიან: ირ. ანთელავა, ა. ბენდიანიშვილი, მ. გაფრინდაშვილი, ლ. გორგილაძე, ა. იოსელიანი, აბ. კიკვიძე, ე. ორჯონიკიძე და ე. ხოშტარია. პირველი თავი – „ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება XIX საუკუნის 30-50-იან წლებში“ (ავტორები: ირ. ანთელავა, ე. ორჯონიკიძე, ე. ხოშტარია) კარგადაა დაწერილი, იმდენად კარგად, რომ ნაშრომი გამოსვლიდან ორმოცი წლის შემდეგაც რაიმე პრინციპულ შენიშვნას არ იმსახურებს (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 40-120. ხსენებული საკითხი ავტორებს ადრე მონოგრაფიის სახით ჰქონდათ გამოცემული (იხ.: **И. Антелава, Э. Орджоникидзе, Э. В. Хоштария.** К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии. Тбилиси, 1967). სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით მეორე თავზე – „ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის 30-50-იან წლებში. მმართველობის სისტემა“, რომლის ავტორია ირ. ანთელავა. მეორე თავის უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ მასში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის არსი და მზაკვრული მიზნები არ არის ახსნილი, გვერდი აქვს ავლილი ბევრ საინტერესო დოკუმენტს (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 121-136). ისევე როგორც პირველი თავი, კარგადაა დაწერილი მესამე თავიც – „გლეხთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მათი ბრძოლა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ XIX საუკუნის 30-50-იან წლებში“ (ავტორი ირ. ანთელავა). მასში კარგად არის განზოგადებული დიდი რაოდენობის ფაქტობრივი მასალა (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 137-190. ეს საკითხი ირ. ანთელავას კარგად ჰქონდა შესწავლილი ადრე ადრე გამოცემულ მონოგრაფიაში (იხ.: **Ир. Антелева.** Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века. Сухуми. 1955). მიუხედავად იმისა, რომ თემის დამუშავებისათვის აუცილებელი წყაროები და ლიტერატურა საკმაოდ მოიპოვებოდა, სუსტია მეოთხე თავი – „ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება“ (ავტორი ე. ორჯონიკიძე). თავის პირველი ნაწილი („ყირიმის ომი“) სამხედრო ისტორიის თვალსაზრისით გაცილებით უკეთ შეიძლებოდა დაწერილიყო. რაც შეეხება თავის მეორე ნაწილს

(„სამთავროების გაუქმება“), არც დოკუმენტური მასალის სიუხვით გამოირჩევა და არც რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკის ღრმად და საფუძვლიანად გაშუქებით (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 191-226). თითქმის მთლიანად საბჭოთა ისტორიოგრაფიის ანტიმეცნიერული კონცეფციის საფუძველზე დაწერილი მეხუთე თავი – „კლასობრივი ბრძოლის გამწვავება რეფორმის წინარე ხანის საქართველოში. ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბება“ (ავტორი ირ. ანთელავა). ავტორი მთლიანად დაეყრდნო საბჭოთა ისტორიოგრაფიის მონაპოვარს, მათ შორის XX საუკუნის 30-50-იან წლებში გამოქვეყნებულ მკაცრ ცენზურაგამოვლილ წყაროებსა და ლიტერატურას. ცხადია, ასეთ შემთხვევაში სიახლე არც იყო მოსალოდნელი (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 227-271). საინტერესოა, რომ გაცილებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მეექვსე თავი – „საგლეხო რეფორმა საქართველოში“ (ავტორი ირ. ანთელავა). მეექვსე თავი ერთ-ერთი საუკეთესოა მეხუთე ტომში (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 272-302). იგივე ითქმის ა. ბენდიანიშვილის მიერ დაწერილ მეშვიდე თავზე – „სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება. სასამართლო და საქალაქო რეფორმები“ (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 303-328). დიდძალი ფაქტობრივი მასალა, საინტერესო დოკუმენტები კარგადაა გაანალიზებული მერვე თავში – „კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რეფორმის შემდგომ (1865-1900 წწ.)“ (ავტორი ა. ბენდიანიშვილი). ა. ბენდიანიშვილი გარკვეულწილად ეყრდნობა ირ. ანთელავას ადრე გამოქვეყნებულ მონოგრაფიას (იხ.: ირ. ანთელავა. საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი, 1967). მერვე თავი დამოუკიდებელი, სოლიდური მონოგრაფიის შთაბეჭდილებას ტოვებს (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 329-428). ყველა კრიტერიუმით ძალზე სუსტია, ზედაპირულია მეცხრე თავი – „რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომი და საქართველო“ (ავტორი ა. ბენდიანიშვილი). მეცხრე თავი განსაკუთრებით სუსტია სამხედრო თვალსაზრისით (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 439-453). სამწუხაროა, რომ მეხუთე ტომში ყველაზე უფრო საინტერესო საკითხი – ეროვნული მოძრაობა – იმდენად სუსტია, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მეათე თავი – „ქართველი ერი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ (ავტორი მ. გაფრინდაშვილი) გვერდს უვლის ბევრ ისეთ საკითხს, რომლის გაშუქებაც საბჭოთა ცენზურის პირობებშიც კი აკრძალული არ იყო. მეათე თავში

გვხვდება ბევრი ხელოვნური ცნება. თავის მეორე ნაწილი უფრო ბიოგრაფიების ნარკვევია, თუმცა ეს ნარკვევები ძალზე ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ეროვნული მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებზე, მათ შეხედულებებზე. ავტორმა ვერ აჩვენა უმთავრესი: ეროვნული მოძრაობის პროგრამის არსი და ბრძოლა ამ პროგრამის რეალიზებისათვის (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 454-524). სოლიდური ღირებულება გააჩნია მეთერთმეტე თავს – „აგრარული ურთიერთობა საქართველოში რეფორმის მომდევნო ხანაში (60-90-იანი წლები)“. ირ. ანთელავას მიერ დაწერილი ნაშრომის ეს ნაწილი სერიოზული მონოგრაფიული გამოკვლევის შთაბეჭდილებას ტოვებს (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 525-586). სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით იმავე ავტორის მიერ დაწერილი მეთორმეტე თავის – „ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში 70-80-იან წლებში“ – შესახებ. კერძოდ, თვალში საცემია ორი უმთავრესი ნაკლი: წყაროთმცოდნეობითი ბაზის სიმწირე და ხალხოსნური (ნაროდნიკული) მოძრაობის ლენინისეული შეფასების აშკარა გავლენა (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 587-636). რაიმე სიახლით არ გამოირჩევა მეცამეტე თავი – „80-იანი წლების რეაქცია და საქართველოს საზოგადოებრივი ძალები“ (ავტორი ა. იოსელიანი). მეცამეტე თავი საყოველთაოდ ცნობილ დოკუმენტებსა და მასალებზე დაყრდნობითა დაწერილი, სიახლე არ შეიმჩნევა (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 637-672). საბჭოთა ისტორიოგრაფიის სტერეოტიპების მიხედვითაა დაწერილი მეთოთხმეტე თავი – „მუშათა კლასის მდგომარეობა XIX საუკუნის 70-90-იან წლებში და მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები“ (ავტორი ა. კიკვიძე). ბევრი საყურადღებო სიახლის შემცველია ა. ბენდიანიშვილის მიერ დაწერილი მეთხუთმეტე თავი – „საქართველოს თვითმმართველობანი 1875-1905 წწ. ერობის შემოდების საკითხი“ (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 697-726). ძალზე სამწუხაროა ის, რომ ლ. გორგილაძემ, რომლის დაწერილია მეთექვსმეტე თავი – „მარქსიზმის წარმოშობა და დამკვიდრება საქართველოში“ – უკან დაიხია და აღარ დაიცვა ის სწორი, მეცნიერული დებულებანი, რომლებიც მან წამოაყენა 1961 წელს (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი, 1970, გვ. 727-763). „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის მეხუთე ტომი იმ პოლიტიკური რეჟიმის პირობებშიც კი შეიძლებოდა გაცილებით უკეთესად დაწერილიყო.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეექვსე ტომი („საქართველო 1900-1921 წლებში“), რომელიც აკაკი სურგულაძის რედაქტორობით გამოიცა, V-VIII

ტომებიდან ყველაზე სუსტია და ამავე დროს ნიმუშია იმისა, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს საქართველოს ისტორია. მეექვსე ტომის შესაფასებლად სიტყვა „ფალსიფიკაცია“ კი არ გამოდგება. მეექვსე ტომიდან მეტ-ნაკლებად ღირებულია მხოლოდ პირველი თავი – „საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა 1900-1921 წლებში“ (ავტორები ა. ბენდიანიშვილი, გრ. მარგიანი). ეს თავი ძირითადად დაწერილია ავტორთა მიერ წინათ გამოქვეყნებულ მონოგრაფიებზე დაყრდნობით (იხ.: ა. ბენდიანიშვილი. აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ. თბილისი, 1965; გრ. მარგიანი. სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება რევოლუციამდე საქართველოში. თბილისი, 1968). მოგვიანებით, გრ. მარგიანმა კიდევ ერთი მონოგრაფია გამოაქვეყნა (იხ.: გრ. მარგიანი. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი. 1864-1917. თბილისი, 1976). თუმცა ეს თავიც იმსახურებს სერიოზულ შენიშვნას. თავის ქრონოლოგიური ჩარჩო 1900-1921 წლებითაა შემოფარგლული, მაშინ, როდესაც 1918-1921 წლების ეკონომიკაზე, ანუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკაზე იქ არსებითად არაფერია ნათქვამი. ეს პერიოდი აქა-იქ სხვათაშორის იხსენიება (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი, 1972, გვ. 37-150). უფერული და არაფრის მთქმელია მეორე თავი – „სახალხო რევოლუციური აღმავლობა 1901-1904 წლებში“ (ავტორი აბ. კიკვიძე). რაც შეეხება მესამე თავს – „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“ (ავტორები ი. ხუციშვილი, მ. გაფრინდაშვილი) იგი დაწერილია ფ. მახარაძისა და გ. ხაჭაპურიძის ნაშრომებზე დაყრდნობით და არაფრით არ განსხვავდება XX საუკუნის 20-30-იანი წლების ნაშრომებიდან. მასში მეცნიერული არაფერია, ესაა ფალსიფიკაციის ისტორია. მკითხველი მისი წაკითხვით ვერაფერს შეიძენს. იგივე შეიძლება ითქვას მეოთხე თავზე – „საქართველო რეაქციის და ახალი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში (1907-1914 წწ.)“, რომლის ავტორები არიან აკ. სურგულაძე, ი. მირცხულავა და აბ. კიკვიძე (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი, 1972, გვ. 282-352). რაც შეეხება მეხუთე თავს – „პირველი იმპერიალისტური ომი და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში“ (ავტორი აკ. სურგულაძე), მასში ზედმიწევნით ზუსტადაა გადმოტანილი ფ. მახარაძისა და გ. ხაჭაპურიძის „ნაღვაწი“. თავის ავტორს ისიც კი არ უცდია, რომ არქივებში დაცული უამრავი დოკუმენტი მოეძიებინა და ამით მაინც დამდგარიყო ფ. მახარაძესა და გ. ხაჭაპურიძეზე მაღლა. ისტორიის ფალსიფიკაციის მისწრაფებით, დოკუმენტებისა და მასალების სიმცირით, წყაროთმცოდნეობითი ბაზის შეზღუდულობით მეექვსე ტომის ეს

ნაწილი (1914-1917 წლები) სავსებით გაუთანასწორდა XX საუკუნის 20-30-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიას (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი, 1972, გვ. 353-433). მეექვსე თავი – „საქართველო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურად გადაზრდის პერიოდში“ (ავტორი აკ. სურგულაძე) მოიცავს პერიოდს 1917 წლის თებერვალ-მარტიდან ოქტომბრამდე და ორგანულად აგრძელებს წინა თავში დაწყებულ სიყალბეს. ამ თავშიც ცხადად იგრძნობა დოკუმენტებისა და მასალების სიმწირე (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი, 1972, გვ. 434-514). მეშვიდე თავი – „საქართველო ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის პერიოდში (1917 წ. ოქტომბერი, 1918 წ. მაისი)“ (ავტორი აკ. სურგულაძე) იდეური და ფაქტოლოგიური თვალსაზრისით მთლიანად ეყრდნობა ფ. მახარაძისა და გ. ხაჭაპურიძის ნაშრომებს (იხ.: ფ. მახარაძე. საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში. ტფილისი, 1927; გ. ხაჭაპურიძე. ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის საქართველოში. ტფილისი, 1938), ასევე ქართველი ბოლშევიკების ნაწერებს. ავტორს არ გადაუსინჯავს XX საუკუნის 20-30-იან წლებში დაკანონებული არც ერთი მცდარი დებულება (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი, 1972, გვ. 515-586). მერვე თავიდან – „საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა“ (ავტორი აკ. სურგულაძე) ცხადი ხდება, რომ ავტორისათვის არ არსებობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ისტორია. ამ თავში ამის ნაცვლად წარმოდგენილია ბოლშევიკური (კომუნისტური) შეხედულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ნიშანდობლივია ის, რომ 1972 წელს აკ. სურგულაძემ თითქმის უცვლელად გაიმეორა მის მიერვე 1952 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში წარმოდგენილი მცდარი მოსაზრება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ (იხ.: აკ. სურგულაძე. ამერიკელი და ინგლისელი დამპყრობლები საქართველოში 1918-1920 წლებში. თბილისი, 1952), ასევე სხვა ქართველი ისტორიკოსების მიერ დამკვიდრებული სიყალბე (იხ.: **Д. Енукидзе**. Крах империалистической интервенции в Закавказье. Тбилиси, 1954; გ. ღამბაშიძე. საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან (1917-1921 წწ.). თბილისი, 1965) (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი, 1972, გვ. 587-650). დიდ სიცრუეს აგვირგვინებს მეცხრე თავი – „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში“ (ავტორი აკ. სურგულაძე). ეს თავიც ნიმუშია იმისა, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს ისტორია. ესაა ქებათა-ქება სამშობლოს დამპყრობლებისა, უპატივცემულობა უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული

ქართველებისა (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი, 1972, გვ. 651-699). ზოგ საინტერესო მასალას იპოვის მკითხველი მეთე თავში – „ქართული კულტურა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხანაში (1901-1921 წწ.)“ (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი, 1972, გვ. 700-765), რაც, ცხადია, ოდნავადაც ვერ ამსუბუქებს იმ მძიმე შთაბეჭდილებას, რაც მეექვსე ტომის წაკითხვის შედეგად იქმნება.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ რვატომეულის მეშვიდე ტომი („საქართველო XX საუკუნის 20-30-იან წლებში“) იური კაჭარავას რედაქტორობით გამოიცა (ავტორები: ი. კაჭარავა, ა. კოჭლავაშვილი, ი. მირცხულავა, ნ. მახარაძე, მ. ნათელაძე, გ. ბრეგაძე, თ. ჟღენტაძე, ი. ჩიქავა, ა. ათანელიშვილი, ქ. თოფურაძე). საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეშვიდე ტომი ორგანულად აგრძელებს იმ დიდ სიცრუეს, რაც დაიწყო მეექვსე ტომში, ანუ ეს არ არის ისტორია, ეს ანტიისტორიაა. მეშვიდე ტომში აქცენტი საქართველოს ისტორიაზე არ არის გაკეთებული. აქ ერთმანეთშია არეული ისტორია და საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია, უპირატესობა კი კომუნისტური პარტიის ისტორიას ენიჭება. პოლიტიკური ისტორიის საკითხებს ბევრად სჭარბობს ეკონომიკური განვითარების ისტორია. ტომის უდიდესი ნაწილი სწორედ ხუთწლიანი გეგმების მიღება-შესრულების ისტორიას ეძღვნება. მეშვიდე ტომის ავტორებმა საქართველოს ისტორია ისე დაწერეს, რომ გვერდი აუარეს ეროვნულ და ანტისაბჭოთა მოძრაობას, ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობას, ქართული ემიგრაციის ისტორიას. ქართველები, რომლებიც ეროვნულ და ანტისაბჭოთა მოძრაობაში იყვნენ ჩაბმულნი, ან ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიის წევრები იყვნენ, ან ემიგრაციაში იმყოფებოდნენ და იქიდან ცდილობდნენ სამშობლოს განთავისუფლებას, მეშვიდე ტომის ავტორთა აზრით, ქართველი ერის ნაწილს არც წარმოადგენდნენ და თუ ისინი სადმე მაინც მოიხსენიებოდნენ, მხოლოდ უარყოფით კონტექსტში. მეშვიდე ტომის პირველ თავში – „საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და სახალხო მეურნეობის აღდგენა საქართველოში (1921-1925 წწ.)“, რომლის ავტორია ი. კაჭარავა, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის შექმნას დიად ისტორიულ მოვლენად მიიჩნევს, ხოლო 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას „მენშევიკთა სისხლიან ავანტურად“. ი. კაჭარავა 1921-1925 წლების საქართველოს ისტორიის გაშუქებისას მთლიანად ეყრდობა ვ. ლენინის, ი. სტალინის, ს. ორჯონიკიძის გამონათქვამებს – ეს გამონათქვამები მისთვის შეუვალი ჭეშმარიტებაა. ყველა მოვლენა და მოღვაწე სწორედ ამ გამონათქვამებიდან გამომდინარე ფასდება. ს. ორჯონიკიძის

გაიდილება და ყველა მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის დასამარება პირველი თავის უმთავრესი მახასიათებელია (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VII. თბილისი, 1976, გვ. 59-226). უნდა აღინიშნოს, რომ ს. ორჯონიკიძის ამგვარ გაიდილებას XX საუკუნის 20-30-იან წლებშიც კი ერიდებოდნენ ისტორიკოსები. მეშვიდე ტომის პირველ თავში ი. კაჭარავა უხვად იმოწმებს ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც თავის დროზე შეთხზეს ქართველმა ბოლშევიკებმა ს. ორჯონიკიძემ, ფ. მახარაძემ, მ. კახიანმა, მ. ორახელაშვილმა და სხვებმა. ასეთი დოკუმენტების ნაწილს საბჭოთა სპეცსამსახურები წამების გზით გამოსძალავდნენ ადამიანებს. XX საუკუნის 70-იან წლებში (მეშვიდე ტომი 1976 წელს გამოიცა) ზემოთ აღნიშნული უკვე საყოველთაოდ იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, ი. კაჭარავა ამ ნაყალბევ დოკუმენტებსა და მასალებს ხელადებით ენდობა და მათზე დაყრდნობით აშუქებს მთელ რიგ მოვლენებს. მეორე თავი – „სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ საქართველოში (1926-1929 წწ.)“ (ავტორები: ი. კაჭარავა, ა. კოჭლავაშვილი), მესამე თავი – „სოციალიზმის მთლიანი ფრონტით შეტევა და საკოლმეურნეო მშენებლობა საქართველოში (1929-1932 წწ.)“ (ავტორები: ი. კაჭარავა, ა. კოჭლავაშვილი, ი. მირცხულავა), მეოთხე თავი – „საქართველოს სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისა და სოციალიზმის გამარჯვების პერიოდი (1932-1937 წწ.)“ (ავტორები: ნ. მახარაძე, მ. ნათმელაძე, გ. ბრეგაძე), მესამე თავი – „საბჭოთა საქართველო სოციალისტური საზოგადოების განვითარებისა და განმტკიცების პერიოდში (1937-1941 წწ.)“ (ავტორი ი. ჩიქავა) თითქოს იმისთვისაა დაწერილი, რომ მკითხველი დაარწმუნოს, თუ როგორი წარმატებით აშენებდა კომუნისტური პარტია სოციალიზმს, როგორი წარმატებით სრულდებოდა ხუთწლიანი გეგმები, როგორ განუხრელად მალდებოდა მუშებისა და გლეხების ცხოვრების დონე, როგორ დაუნდობლად ანადგურებდა საბჭოთა ხელისუფლება სოციალიზმის მტრებს (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VII. თბილისი, 1976, გვ. 227-713). მეოთხე თავი, რომელიც 1933-1937 წლებს მოიცავს, ექვსი პარაგრაფია, მათ შორის არც ერთი არ ეძღვნება პოლიტიკურ რეპრესიებს. სამაგიეროდ ამავე თავში მეექვსე პარაგრაფად წარმოდგენილია გ. ბრეგაძის მიერ დაწერილი „ქართველი სოციალისტური ერი“. „ქართველი სოციალისტური ერი“ გ. ბრეგაძისა და საერთოდ მეშვიდე ტომის ავტორთათვის მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობაა, ხელმძღვანელი ძალა კი კომუნისტური პარტია (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VII. თბილისი, 1976, გვ. 613-713). მეშვიდე ტომის ავტორები უხვად იმოწმებენ სტატისტიკურ მასალას, იმ

მასალას, რომელიც თავის დროზე უხეშად იყო ფალსიფიცირებული და, ამდენად, არ ასახავდა რეალურ ვითარებას. ეს განსაკუთრებით ეხება ეკონომიკის განვითარების ისტორიას. უხეშადაა გაყალბებული ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც საზოგადოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების დონის ამაღლებას ეძღვნება. მეშვიდე ტომის მეექვსე თავი – „ქართული საბჭოთა კულტურა“ (ავტორები: დ. მაისურაძე, გ. მერკვილაძე, ე. გუგუშვილი, პ. ხუჭუა, კ. გოგოძე, მ. დუდუჩავა, ნ. ჯაში, გ. სიხარულიძე) ჩვენი აზრით, ერთადერთი თავია, რომელიც მკითხველს დაეხმარება საქართველოს ისტორიის შესწავლაში, თუმცა ეპოქამ თავისი დადი მეშვიდე ტომის ამ ნაწილსაც დაასვა (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VII. თბილისი, 1976, გვ. 882-945). „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეშვიდე ტომის ცალკეული ნაწილების (თავებისა და პარაგრაფების) დაწვრილებით განხილვა და შენიშვნების გამოთქმა უაზროდ გვეჩვენება. ასეთ მიდგომას აზრი მაშინ ექნებოდა, თუ ამ სქელტანიან გამოცემაში რაღაც დადებითი და მისაღები იქნებოდა. სამწუხაროდ, მეშვიდე ტომი ანტიისტორიასა და მის დაწვრილებით განხილვას აზრი არ ჰქონდა.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მერვე ტომი „საქართველო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის, ომის შემდგომი აღდგენის, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წლებში (1941-1975 წწ.)“ ორგანული გაგრძელებაა მეშვიდე ტომისა. ტომი ნ. სტურუასა და მ. ნათმელაძის რედაქტორობით გამოვიდა. მერვე ტომში 1941-1945 წლები (პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე თავები) დაწერილია ი. ბაბალაშვილის მიერ მ. ქონიაშვილის მონაწილეობით. წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნის მიზნით ი. ბაბალაშვილს ჩატარებული აქვს დიდი მუშაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაშრომის ეს ნაწილი მეცნიერულ ნარკვევამდე ვერ ამაღლდა. ავტორი ბრმად ენდობა ბევრ ისეთ დოკუმენტს, რომლებიც თავის დროზე შეთხზული იყო სრულიად გარკვეული მიზნით. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ი. ბაბალაშვილი არ არღვევს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს, თითქმის უცვლელად იმეორებს იმ დასკვნებს, რომლებიც მოსკოვში იყო შემუშავებული და რომლებიც გვხვდება უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, უზბეკი და სხვა საბჭოთა ისტორიკოსების ნაშრომებში (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VIII. თბილისი, 1980, გვ. 86-275). მერვე ტომის მეორე ნაწილი, რომელიც 1946-1975 წლებს ეძღვნება (ავტორები: მ. ნათმელაძე, ნ. სტურუა, გ. ბრეგაძე, ა. კოჭლავაშვილი, ს. შარიქაძე, გ. თევზაძე, თ. ჟღენტა, ს. ჩხარტიშვილი. მ. ჯიჯეიშვილი) ისეთივე დონისაა, როგორც მეშვიდე ტომი. ეს არ არის ქართველი

ერის, საქართველოს ისტორია, ესაა ეკონომიკის ისტორია, ხუთწლეულების მიღება-შესრულების ისტორია, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შრომითი საქმიანობის ისტორია. ყოველივე ამის ფონზე კი იკარგება ჭეშმარიტი ისტორია, იკარგებიან ის ადამიანები, რომლებმაც 1945 წლების ომი არ მიიჩნიეს სამამულო ომად, იკარგებიან ის ადამიანები, რომლებიც გერმანიის დახმარებით ცდილობდნენ სამშობლოს ხსნას, იკარგებიან ომისა და ომის შემდგომი წლების ეროვნული მოძრაობის მონაწილეები (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VIII. თბილისი, 1980, გვ. 276-903). ისევე როგორც მეშვიდე ტომში, მერვე ტომშიც კარგადაა წარმოდგენილი ქართული კულტურის ისტორია (ავტორები: გ. ციციშვილი, გ. მერკვილაძე, დ. თევზაძე, ე. გუგუშვილი, ვ. კიკნაძე, კ. გოგობე, გ. დოლიძე, ე. მაჭავარიანი, ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ა. ვოლსკაია (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VIII. თბილისი, 1980, გვ. 232-264, 498-622, 904-1065).

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის მერვე ტომით დასრულდა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის გაყალბება, რომლის პირველი ნიშნები აშკარად გამოჩნდა მეხუთე ტომში და რომელსაც მთლიანად მიექდვნა მეექვსე, მეშვიდე და მერვე ტომები. ყოველივე ეს მით უფრო სამწუხარო იყო, რომ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე (ბოლოს თავების გამოკლებით) ტომებმა იმედები გაამართლეს – სპეციალისტებმა, სტუდენტობამ და მკითხველთა ფართო წრემ მიიღო სოლიდური მეცნიერული ღირებულების მქონე კაპიტალური ნაშრომი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. ნარკვევების პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ტომების ავტორებმა, ასევე მეხუთე ტომის ავტორების ნაწილმა პირნათლად მოიხადეს ვალი, რასაც ვერ ვიტყვით რვატომეულის მეექვსე, მეშვიდე და მერვე ტომების ავტორებზე (მათში არ ვგულისხმობთ კულტურის ისტორიის სპეციალისტებს). მკითხველი მოტყუებული დარჩა. ავტორთა კოლექტივმა პოლიტიკური რეჟიმის დაკვეთა პირნათლად შეასრულა, თუმცა სიცრუემ დიდხანს ვერ იბოგინა. რვატომეულის მერვე ტომის გამოსვლიდან სულ რაღაც ათ წელში გაყალბებული ისტორიის დამკვეთმა პოლიტიკურმა რეჟიმმა არსებობა დაასრულა. დარჩა სქელტანიანი ტომები, რომლებიც უკვე არასდროს აღარავის დასჭირდება. ამ ტომებს მხოლოდ ერთდაერთი დანიშნულება გააჩნიათ: „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის მეექვსე, მეშვიდე და მერვე ტომებით ახალგაზრდა ისტორიკოსებმა შეიძლება ისწავლონ, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს ისტორია.

ცალკე საუბრის თემაა ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლის მდგომარეობა. ემიგრაციის ისტორიის გაყალბება დაიწყო ცნობილმა ბოლშევიკმა ლევან ღოღობერიძემ (იხ.: **ლ. ღოღობერიძე**. ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა. ტფილისი, 1927). ემიგრაციის ისტორიის გაყალბება გაგრძელდა XX საუკუნის 20-30-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (იხ.: **ფ. ლომაშვილი**. ქართული ემიგრაციის ისტორიიდან. თბილისი, 1965). მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან გურამ შარაძის მოღვაწეობის შედეგად დაიწყო ქართული ემიგრაციის ჭეშმარიტი ისტორიის შექმნა (იხ.: **გ. შარაძე**. უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი I-III. თბილისი, 1991-1993; **გ. შარაძე**. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. 1-8. თბილისი, 2001-2005).

ერთი შეხედვით ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნის საქმეში. 1921 წლიდან მართლაც განხორციელდა იმ დოკუმენტებისა და მასალების პუბლიკაციები, რომელთაც, გარკვეულწილად, ხელი შეუწევს ისტორიოგრაფიის წინსვლას და დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება. (იხ.: **გ. გოზალიშვილი**. 1832 წლის შეთქმულება. ტფილისი, 1935; **შ. ჩხეტია**. რუსეთის დიდი რევოლუცია. ტფილისი, 1930; *Документы по истории Грузии. Серия II. Том 1. Часть 1. Грузия в период буржуазных реформ (1862-1872). Под редакцией Ш. Чхетия*. Тбилиси, 1954).

დოკუმენტებისა და მასალების მრავალი პუბლიკაცია მიეძღვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ყრილობების, კონფერენციისა და ცენტრალური კომიტეტის), საბჭოთა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო და უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მოღვაწეობას. დღეს ეს მასალები ეფექტურად გამოიყენება საბჭოთა ხელისუფლების არსის გარკვევისათვის, მათ დიდი მამხილებელი ძალა გააჩნიათ.

ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებთან და მასალებთან ერთად დიდი რაოდენობით გამოდიოდა პოლიტიკური რეჟიმის მიერ მკაცრად გაკონტროლებული, ცენზურაგამოვლილი და უხეშად გაყალბებული გამოცემები, რომელთა გამოყენება სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში შეუძლებელია (იხ.: საბჭოთა საქართველოს 10 წელი. 1921-1931 წწ. (სტატისტიკური კრებული). ტფილისი, 1931; საბჭოთა საქართველოს 40 წელი (სტატისტიკური კრებული). თბილისი, 1961; საბჭოთა საქართველოს 50 წელი (სტატისტიკური კრებული). თბილისი, 1971;

Коммунистическая партия Грузии в цифрах 1921-1970 гг. (Сборник статистических материалов. Тбилиси, 1970).

საბჭოთა ისტორიოგრაფიის საბოლოო შეფასებისას გასათვალისწინებელია ბევრი მომენტი. სამარცხვინო იყო ის, რომ XX საუკუნის 20-30-იან წლებში, უფრო მეტიც, 40-50-იან და 60-70-იან წლებშიც კი საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის კვლევისას ე. წ. „მეთოდოლოგიურ საფუძველს“ შეადგენდა არა მარტო კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ლენინისა და ი. სტალინის ნაწერები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის დოკუმენტები, არამედ ს. ორჯონიკიძის, ფ. მახარაძის, მ. ცხაკაიას, მ. ორახელაშვილის, მ. კახიანის, ლ. ქართველიშვილის, ლ. დოდობერიძის, ს. მამულიას, ლ. ბერიას და სხვა ქართველ ბოლშევიკთა ნაწერები (სიტყვები, სტატიები, მოხსენებები და სხვ.). ყველა მოაზროვნე ახალგაზრდა მკვლევარისათვის ამაზრზენი იყო იმისი ცქერა, თუ როგორ ამოწმებდნენ უკვე სამეცნიერო ხარისხების, სამეცნიერო წოდებების, სახელმწიფო ჯილდოებისა და თანამდებობის მფლობელი „ბრძენთა საბჭოს“ წევრები მის მიერ წარდგენილ ნაშრომს უპირველეს ყოვლისა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამებოდა ნაშრომში გამოთქმული აზრები კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ლენინის, ი. სტალინის, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ლიდერის (ნ. ხრუშჩოვი, ლ. ბრეჟნევი...) ნათქვამებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოვლობის, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებებს, გახეთ „პრავდის“ მოწინავე სტატიებს... დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანი იყო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ „ბრძენთა საბჭოს“ წევრები კომუნიზმის იდეური მამების მოძღვრებას განუხრებლად იცავდნენ, სინამდვილეში ისინი თავიანთ სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს, თავიანთ თანამდებობებსა და საზოგადოებრივ მდგომარეობას უფრო ხილდებოდნენ. ახალგაზრდა მკვლევარებს აიძულებდნენ, ისტორია ისევე გაეყალბებინათ, როგორც თავად აყალბებდნენ. ყალბისმქმნელებს ჭეშმარიტების მაძიებლისა ყოველთვის ეშინიათ! ახალგაზრდა მკვლევარი ან „ბრძენთა საბჭოს“ უნდა დათანხმებოდა, ან საერთოდ ხელი აეღო სამეცნიერო მოღვაწეობაზე. თუ ახალგაზრდა მორალურ კომპრომისზე წავიდოდა, გარკვეული ხნის შემდეგ ისიც „ბრძენთა საბჭოს“ წევრად შეირაცხებოდა და ამჯერად თავად ხდებოდა სიცრუის დამცველი და ისტორიის ფალსიფიკაციის წამქეზებელი. ხელმწიფე რომ შიშველი იყო, ყველა ცხადად ხედავდა, მაგრამ ამის თქმას ვერავინ ბედავდა. დღეს შეიძლება დაუჯერებლადაც კი ეჩვენოს ადამიანს, რომ XX საუკუნის 70-იან წლებში ავტორიტეტისანი სამეცნიერო საბჭოები

სამეცნიერო ხარისხებს ანიჭებდნენ ნაშრომებისათვის: „საქართველოს კომპარტიის სასოფლო-სამეურნეო კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში“, „საქართველოს კომკავშირის საქმიანობა კომუნიზმის მშენებლობაში ახალგაზრდობის როლის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებათა ცხოვრებაში გატარებისათვის“, „აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაცია სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის ბრძოლაში“. მსგავს თემებზე დისერტაციები კონვეირული წესით იწერებოდა და ხარ-ზეიმით მტკიცდებოდა. თუ რაღაც შემთხვევის წყალობით თბილისის „ბრძენთა საბჭო“ საჭირო „იდეურ-პოლიტიკურ სიფრთხილეს“ ვერ გამოიჩინდა, დაკანონებული სიცრუის დარღვევის მცდელობას მოსკოვის „ბრძენთა საბჭო“ აღკვეთავდა.

4. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის სათავეებთან

საბჭოთა წყობილების არსებობის ბოლო ხანებში (XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან) პოლიტიკური რეჟიმის შესუსტების პირობებში შესაძლებელი გახდა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ობიექტური კვლევა, რაც, ცხადია, გარკვეულ რისკთან და საფრთხესთან მაინც იყო დაკავშირებული. ამ საფრთხეს არ შეუშინდა და საქართველოს უახლესი ისტორიის ობიექტურად კვლევა დაიწყო **ლევან თოიძემ**. ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში, 1989 წელს, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ლ. თოიძის წერილების სერია სათაურით: **„მხოლოდ სიმართლე. კვლავ იმის შესახებ, იყო ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება თუ...“** ნაშრომის საგაზეთო ვარიანტი ავტორმა გადაამუშავა, შეავსო და 1991 წელს ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით: **„ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, ფაქტობრივი ანექსია. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისათვის“** (თბილისი, 1991). ლევან თოიძის ნაშრომით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს უახლესი ისტორიის კვლევის ახალ ეტაპს. იმავე პერიოდში დაწერილი მეორე ნაშრომი „საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წწ.)“ მოგვიანებით (1999 წ.) დაიბეჭდა. ლ. თოიძის ნაშრომთან ერთად უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა 1990 წელს განხორციელებული დოკუმენტებისა და მასალების კრებული – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921“ (თბილისი, 1990). ამ

გამოცემამ ბიძგი მისცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის კვლევას. ქართულ ისტორიოგრაფიაზე დიდი გავლენა იქონია გურამ შარაძის სამტომეულის „უცხოეთის ცის ქვეშ“ პირველი წიგნის გამოსვლამ (თბილისი, 1991). წიგნში შესული მასალა მანამდე პერიოდულ გამოცემებში ქვეყნდებოდა.

ლევან თოიძის ნაშრომმა XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან ბიძგი მისცა საქართველოს ახალი და უახლესი, განსაკუთრებით უახლესი ისტორიის კვლევას. კომუნისტური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებმა (ღმერთმა უწყის, შეგნებულად და გააზრებულად, თუ შექმნილი ვითარების გავლენით) XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან გაილაშქრეს საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ დამკვიდრებული სტერეოტიპების წინააღმდეგ, რითაც ობიექტურად შეუწყვეს ხელი საისტორიო მეცნიერების წინსვლას (იხ.: აკ. სურგულაძე, პ. სურგულაძე. საქართველოს ისტორია. 1783-1990. თბილისი, 1991). დაიწყო საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიტიკა და ეროვნული ისტორიოგრაფიის სამომავლო ამოცანების განსაზღვრა (იხ.: ვ. გურული. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. – გაზ. „სახალხო განათლება“, 1990, №9, 1 მარტი, გვ. 5; ვ. გურული. „მოკლე კურსის“ მეოთხედ დაბადება. – გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990, №36, 3 აპრილი, გვ. 5; ვ. გურული. XX საუკუნის პოლიტიკური ისტორიის სწავლების საკითხისათვის. – გაზ. „სახალხო განათლება“, 1990, №31, 2 აგვისტო, გვ. 12; ვ. გურული. ასე იწყებოდა ისტორიის გაყალბება. – ჟურნალი „განთიადი“, 1990, №12, გვ. 161-170; ვ. გურული. ქართული ისტორიული მეცნიერების ძველი და ახალი გასაჭირი. – ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“ 1991, №1, გვ. 7-12; ვ. გურული. მეორე მსოფლიო ომი და საქართველო. – ჟურნალი „პოლიტიკა“, 1991, №11-12, გვ. 59-62; ვ. გურული. პარტიზანული და იატაკქვეშეთა მოძრაობა: მითი და სინამდვილე. – ჟურნალი „მხედარი“, 1992, №1, გვ. 46-53; ვ. გურული. ნეომარქსისტული ისტორიოგრაფია. – გაზ. „განათლება“, 1992, №4, 3 აპრილი, გვ. 2; ვ. გურული. ცრუ კერპებისა და იდეების მსხვერვეა გარდაუვალია. – გაზ. „საქართველო“, 1992, №24, 19-25 ივნისი, გვ. 5). შემდგომ წლებში (XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან XXI საუკუნის დამდეგამდე) საბჭოთა ისტორიკოსების ნაწილმა მსოფლმხედველობა შეიცვალა და საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ობიექტურად კვლევას შეეცადა. რამდენად ნებაყოფლობითი და სრულყოფილი იყო „განწმენდის“ პროცესი, ძნელი სათქმელია (ეს საკითხი მონოგრაფიულ კვლევას საჭიროებს), მაგრამ ერთი რამ ცხადია: საბჭოთა ისტორიოგრაფიის რამდენიმე წარმომადგენელმა ობიექტურად შეუწყო ხელი საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის კვლევის საქმეს.

პოსტსაბჭოთა ეპოქაში (XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან) საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ცალკეულ პრობლემებს საყურადღებო გამოკვლევები მიუძღვნეს: ალექსანდრე ბენდიანიშვილმა, მიხეილ გაფრინდაშვილმა, გურამ შარაძემ, ავთანდილ მენტეშაშვილმა, სერგო ვარდოსანიძემ, ნესტან კირთაძემ, დოდო ჭუმბურიძემ, შოთა ვადაჭკორიამ, დიმიტრი შველიძემ, იგორ კვესელავამ, ედიშერ ხოშტარია-ბროსემ, მაყვალა ნათმელაძემ, ალექსანდრე დაუშვილმა, მალხაზ მაცაბერიძემ, მერაბ ვაჩნაძემ, ჯემალ გამახარიათ, გურამ მარხულიამ, აბელ სურგულაძემ, მალხაზ სიორიძემ, ჯემალ კარალიძემ, ელდარ ბუბულაშვილმა, გერონტი გასვიანმა, თეიმურაზ მიბჩუანმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, მანანა ხომერიკმა, გიორგი ციციშვილმა, ალვენ ასლანიშვილმა, გიორგი მჭედლიძემ, ელგერ კუპატაძემ, ელდარ კერძევაძემ, არჩილ ჩახხიანმა და სხვებმა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და საბჭოთა წყობილების აღსასრულმა განსაზღვრა ის, რომ საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ფალსიფიკაციის პოლიტიკური დამკვეთი აღარ არსებობს. ტაბუდადებულ თემებზე წერა აღარავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. გაიხსნა არქივები, ხელმისაწვდომი გახდა ერთ დროს აკრძალული ლიტერატურა, მოისპო ცენზურა. ამის მიუხედავად, შედეგი მოსალოდნელზე ნაკლები მივიღეთ. ჩვენი აზრით, ეს მოვლენა შემდეგმა მიზეზებმა განაპირობეს:

პირველი. არ მომხდარა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა (კომუნისტური) ისტორიოგრაფიის მეცნიერული შეფასება, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ფალსიფიკაციის მეთოდების მხილება. ამ მიმართულებით მხოლოდ ზოგადი განცხადებებით შემოვიფარგლეთ, საქმე ძალიან ადრე ჩავთვალეთ დამთავრებულად. და ეს მაშინ, როცა აფხაზ და ოს სეპარატისტთა იდეოლოგიები ჩვენ წინააღმდეგ, გარკვეულწილად, სწორედ საქართველოს გაყალბებულ ისტორიას იყენებენ.

მეორე. ათწლეულების მანძილზე გასაიდუმლოებული საარქივო მასალების მხოლოდ მცირე ნაწილი შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში. მეტი წილი პრობლემების წყაროთმცოდნეობითი ბაზა იგივეა, რაც რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიისა, ან საბჭოთა ისტორიოგრაფიისა. გამოქვეყნებული საარქივო მასალების ნაწილი ცუდად არის დამუშავებული.

მესამე. მარქსისტულ-ლენინურმა მეთოდოლოგიამ იმდენად მოგვაბეზრა თავი, რომ საერთოდ აღარ გვსურს მეთოდოლოგიაზე საუბარი, რაც აფერხებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

მეოთხე. ათწლეულების მანძილზე პოლიტიკური რეჟიმის დიქტატით მუშაობამ, ძალით კოორდინაციამ და მთელი საისტორიო ფრონტის ერთ უღელში შებმის მანკიერმა პრაქტიკამ ისე დაგვაშინა, რომ გაერთიანებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციისაკენ მოწოდება რაღაც უბედურების მომასწავებლად, ძველის დაბრუნებად გვეჩვენება.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ საქართველოს უახლესი ისტორიის ბოლო ოცწლეულის (1990-2011 წწ.) შესწავლის საკითხზე. ბოლო ოცწლეულმა საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხებზე მომუშავე მკვლევარების წინაშე რთული პრობლემები დააყენა. ამ პრობლემათა შორის უმთავრესი ისაა, რომ სსრ კავშირის არსებობის ბოლო პერიოდი (XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარი) და პოსტკომუნისტური ეპოქა (XX საუკუნის 90-იანი წლები), ისევე როგორც XXI საუკუნის პირველი ათწლეული, ძალზე ძნელი გასააზრებელია. ცხადია, ძნელი გასააზრებელია ამ პერიოდის საქართველოს ისტორია. მკვლევარისათვის ისტორიული პროცესების გაშუქებისას აუცილებელია გარკვეული დისტანცია, მაგრამ დღეს ჩვენს სინამდვილეში დაგროვდა ისეთი პრობლემები, რომელთა გადაჭრა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. პირველ რიგში უნდა შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის აუცილებელი წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი დოკუმენტი, ქაღალდის არც ერთი ნაგლეჯი. დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოთ მემუარების შეგროვება და დამუშავება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოთ ფოტო და ვიდეო მასალების თავმოყრას. შეძლებისდაგვარად უნდა აღვრიცხოთ და შევისწავლოთ საოჯახო არქივები. ის, რაც დღეს ყურადღების გარეშე დარჩება, შეიძლება სამუდამოდ დაეკარგოს შთამომავლობას. ამ თვალსაზრისით საინტერესო მუშაობა უკვე მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფო არქივებში.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ისტორიული პროცესის გააზრებისათვის აუცილებელია გარკვეული დისტანცია. გამონაკლისს არც საქართველოს ისტორიის ბოლო ოცწლეული წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, წყაროთმცოდნეობითი პრობლემების გადაჭრის კვალობაზე უნდა დაიწყოს ჯერ სტატიების, ხოლო შემდეგ განმაზოგადებელი ნარკვევების გამოქვეყნება. ეს ნაშრომები დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ მომავალი თაობის ისტორიკოსებს გარკვეულწილად მაინც გაუადვილებს საქმეს.

საქართველოს ისტორიის ბოლო ოცწლეულის შესწავლა რთული, შრომატევადი და ამავე დროს სპეციფიკური საქმეა. მას რამდენიმე მკვლევარი ვერ დაძლევა.

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მკვლევართა წინაშე მდგარი პრობლემები არ განეკუთვნება ადვილად გადასაჭრელ პრობლემათა რიცხვს. ჩვენ მარტო წარსულის მძიმე მემკვიდრეობის დაძლევა არ მოგვიწევს. **საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის გაყალბება არ წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელიც სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს.** კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია ქართველი ისტორიკოსებისაგან მოითხოვს მუდმივ მზადყოფნას, რათა დროული და მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გაეცეს ისტორიის ფალსიფიკატორებს, იქნებიან ისინი თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები, თუ ოსური და აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები. სამუშაო უკვე საკმაოხე მეტი დაგროვდა, კიდევ უფრო მეტი იქნება მომავალში.

და ბოლოს: ისტორიის ფალსიფიკატორები სულაც რომ არ არსებობდნენ, სულაც რომ არ აქტიურობდნენ, ამის გარეშეც ხომ აუცილებლად გვჭირდება ობიექტურად დაწერილი საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია, გვჭირდება მონოგრაფიული გამოკვლევები როგორც ცალკეული უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესახებ, ისე მთელი ეპოქის ისტორია, გვჭირდება სახელმძღვანელოები.

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მეცნიერული შესწავლა დღეს მოღვაწე ყველა თაობის ქართველი ისტორიკოსის, ამ პროფილით მომუშავე ყველა სამეცნიერო დაწესებულების ერთობლივი საზრუნავია. ეს ამავე დროს დიდი ეროვნული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

თავი II. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის
პერიოდიზაციის საკითხისათვის
(XIX საუკუნის დამდეგი – XXI საუკუნის დამდეგი)

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საბჭოთა ეპოქაში დაკანონებულ პერიოდიზაციას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნდა. მისი უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ იგი რუსეთის ისტორიასთან იყო შეფარდებული და, ამდენად, არ ითვალისწინებდა საქართველოს ისტორიის

თავისებურებებს. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, უკვე მიღწეულის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, წარმოვადგინოთ ჩვენი შეხედულება ამ უადრესად რთულ პრობლემაზე.

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდიზაცია, ისევე როგორც საერთოდ საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია, მარტო თეორიული მსჯელობის საკითხი არ შეიძლება იყოს. მას დიდი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია. პერიოდიზაციით უნდა დაიწყოს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სასწავლო პროგრამის, ლექციების კურსის, ასევე სახელმძღვანელოების შედგენა როგორც საშუალო სკოლისათვის, ისე უმაღლესი სასწავლებლისათვის.

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდიზაციის კრიტერიუმად აღებული უნდა იქნეს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგადი ტენდენციები.

საქართველოს ახალი ისტორია უნდა დაიწყოთ რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების (ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის სამთავროების) დაპყრობით. ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა ერთ წელს არ მომხდარა, იგი 1801-1810 წლებში მიმდინარეობდა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ იმას, რომ რუსეთის იმპერიამ 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო, ხოლო 1810 წელს იმერეთის სამეფო გააუქმა, ხოლო სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის, ასევე სვანეთის სამთავროები ფორმალურად მხოლოდ „ქვეშევრდომობაში“ მიიღო და იქ მთავრის ხელისუფლება შეინარჩუნა, სამთავროების გაუქმება არ გამოუცხადებია. მთავრის ხელისუფლების შენარჩუნების მიუხედავად, რუსეთის იმპერიამ ფაქტობრივად სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებიც დაიპყრო და იმპერიის განუყოფელ ნაწილად აქცია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ **1801-1810 წლებში განხორციელდა ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა რუსეთის იმპერიის მიერ.** რადგან ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა ერთ წელს არ მომხდარა, ამიტომ, უმჯობესია, საქართველოს ახალი ისტორიის დასაწყისად, კონკრეტული თარიღის აუცილებლობის შემთხვევაში, მივიჩნიოთ 1801-1802 წლები. მართალია, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ ხელი 1801 წლის 12 სექტემბერს მოაწერა (სამეფოს დე იურე გაუქმება), მაგრამ რუსული მმართველობის შემოღება ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე 1802 წლის 8 მაისს გამოცხადდა (რუსული სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დე ფაქტო დამყარება). ამდენად, ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის თარიღადაც უმჯობესია **1801-1802 წლები** მივიჩნიოთ. სამეგრელოს

სამთავროს, გურიის სამთავროს, აფხაზეთის სამთავროსა და იმერეთის სამეფოში რუსული სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარება (სამთავროების რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღება, იმერეთის სამეფოს გაუქმება) 1803-1810 წლებში განხორციელდა. სწორედ ამიტომ რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების (საქართველოს) დაპყრობის დროდ ზოგადად XIX საუკუნის დამდეგი უნდა მივიჩნიოთ.

XIX საუკუნის დამდეგით (კონკრეტულად 1801-1802 წლებით) საქართველოს ახალი ისტორიის დაწყებას ყველა მკვლევარი არ იზიარებს. მკვლევართა ნაწილი საქართველოს ახალ ისტორიას იწყებს გეორგიევსკის ტრაქტატით, ანუ 1783 წლით. ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება არ არის დასაბუთებული. 1783 წელი, ანუ გეორგიევსკის ტრაქტატი ახალ ეტაპს იწყებდა რუსეთ-საქართველოს (უფრო ზუსტად, რუსეთ-ქართლ-კახეთის) ურთიერთობის ისტორიაში და არა საქართველოს (თუნდაც ქართლ-კახეთის სამეფოს) ისტორიაში. ცხადია, ახალი ეტაპის დასაწყისი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში არ შეიძლება იყოს საქართველოს ისტორიის შემდგომი პერიოდის – ახალი ისტორიის დასაწყისი.

საქართველოს ახალი ისტორიის გეორგიევსკის ტრაქტატის დადების (1783 წ.) დროიდან დაწყება ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უკანასკნელი „აღმოჩენა“ იყო. იგი გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავის (1983 წ.) ზარზე იმით აღნიშვნას უკავშირდება. ისტორიკოსების ნაწილი ხელისუფლებასთან გარიგებაზე წავიდა. მოსკოვისათვის ძნელი იყო 1801-1802 წლების მოვლენების (ქართლ-კახეთის სამეფოს დე იურე და დე ფაქტო გაუქმება, რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარება) შელამაზება. ამიტომ იყო, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა საქართველოს რუსეთთან შეერთების თარიღად 1783 წელი „შესთავაზეს“ რუსებს. ეს თარიღი 1801-1802 წლებთან შედარებით „უსისხლო“ და „მშვიდობიანი“ იყო და მოსკოვს უხერხული სიტუაციიდან თავის დაღწევის საშუალებას აძლევდა. ამ „აღმოჩენის“ შემდეგ, შესაბამისად, საქართველოს ახალი ისტორიის დასაწყისადაც XIX საუკუნის დამდეგის ნაცვლად 1783 წელი იქნა მიჩნეული.

მკვლევართა ნაწილი საქართველოს ახალ ისტორიას იწყებს XIX საუკუნის 30-იანი წლებით. ჩვენი აზრით, არც XIX საუკუნის 30-იანი წლები წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ მიჯნას საქართველოს ისტორიაში. იგი პრინციპულად არ განსხვავდება არც XIX საუკუნის 20-იანი და არც 40-იანი წლებიდან.

ამრიგად, საქართველოს ახალი ისტორია უნდა დაიწყოს რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობით. კონკრეტული თარიღის

აუცილებლობის შემთხვევაში მოვლენის დროში ლოკალიზაციისათვის უნდა ვიხმაროთ „1801-1802 წლები“, უფრო ზოგადად, „XIX საუკუნის დამდეგი“.

საქართველოს ახალი ისტორია უნდა დაგამთავროთ 1918 წლით, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით (საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა საქართველოს ახალი ისტორიის ბოლო და, ამავე დროს, უახლესი ისტორიის პირველი თემაა). 1801-1918 წლები – საქართველოს ისტორიის ერთიანი, განუყოფელი პერიოდია. ამ პერიოდის განმსაზღვრელია ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

საბჭოთა (კომუნისტური) ისტორიოგრაფია რუსეთის და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ახალ ისტორიას ე. წ. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდით, უფრო ზუსტად, 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციით ამთავრებდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიტერიუმი ჩვენთვის მიუღებელია. როგორც 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია, ისე ე. წ. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია (სინამდვილეში 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება) საქართველოს ისტორიაში არავითარ მიჯნას არ ქმნის, ახალ ეპოქას, ახალ პერიოდს არ იწყებს.

ამრიგად, საქართველოს ახალი ისტორია უნდა დაგამთავროთ 1918 წლის 26 მაისით. ამავე თარიღით უნდა დავიწყოთ საქართველოს უახლესი ისტორია.

საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918 წლები) ერთიანი, განუყოფელი პერიოდია, თუმცა იგი თავისთავად რამდენიმე ქვეპერიოდად იყოფა. ასეთი ქვეპერიოდი, ჩვენი აზრით, სულ მცირე, ექვსი მაინც შეიძლება იყოს.

პირველი. XIX საუკუნის დამდეგი – XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგი, ანუ ფეოდალურ-ბატონყმური ეკონომიკური და სოციალური სისტემის კრიზისის პერიოდი.

მეორე. XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგი – XIX საუკუნის 90-იანი წლები, ანუ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა, ახალი ეკონომიკური და სოციალური სისტემის დამკვიდრების, საბაზრო ეკონომიკის გამარჯვების პერიოდი.

მესამე. XIX საუკუნის დასასრული – XX საუკუნის დამდეგი, ანუ საბაზრო ეკონომიკის შემდგომი განვითარების, ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების დამკვიდრების პერიოდი.

მეოთხე. 1905-1907 წლები, ანუ დიდი სოციალური კატაკლიზმების, რევოლუციის პერიოდი.

მესუთე. 1907-1914 წლები, ანუ რევოლუციის შემდგომი პერიოდი, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა მოწესრიგების პერიოდი.

მექვესე. 1914-1917 წლები, ანუ პირველი მსოფლიო ომის, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის გამწვავების პერიოდი.

მეშვიდე. 1917-1918 წლები, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მომზადების პერიოდი.

* * *

საქართველოს უახლესი ისტორია უნდა დავიწყოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით – 1918 წლის 26 მაისით. დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით 1918 წლის 26 მაისს სრულიად ახალი პერიოდი იწყება საქართველოს ისტორიაში.

საქართველოს უახლესი ისტორია (1918 წლიდან დღემდე) თავისთავად რამდენიმე პერიოდად იყოფა. ეს პერიოდები შეიძლება იყოს:

პირველი. 1918-1921 წლები, ანუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდი.

მეორე. 1921-1941 წლები, ანუ საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის დამკვიდრების პერიოდი.

მესამე. 1941-1945 წლები, ანუ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის პერიოდი.

მეოთხე. XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარი – 50-იანი წლების შუა ხანები (1945-1953 წლები), ანუ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდი.

მეხუთე. XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანები – 80-იანი წლების შუა ხანები, ანუ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის პერიოდი (1953-1985 წლები).

მექვესე. XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარი – 90-იანი წლების დასასრულამდე, ანუ საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდი (1985-1990 წლები).

მეშვიდე. 1990-1991 წლები, ანუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

მერვე. 1991-2003 წლების, ანუ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პერიოდი.

მეცხრე. თანამედროვე საქართველო (2003-2011 წლები).

ჩვენ მიერ შემოთავაზებული საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდიზაცია, ცხადია, უნაკლო არ იქნება. ამ პრობლემაზე მსჯელობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

თავი III. ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიის პერიოდიზაციისათვის
(1801-1991)

ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიის (1801-1991) პერიოდიზაცია არ არის ადვილად გადასატრელები პრობლემა. პირდაპირ ან არაპირდაპირ ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ თავისი აზრი გამოთქმევს ილია ჭავჭავაძემ, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა, სერგეი მესხმა, ნოე ჟორდანიამ, იოსებ ჯულაშვილმა, არჩილ ჯორჯაძემ და სხვებმა. ქართველ ისტორიკოსთაგან საინტერესო მოსაზრებები წარმოადგინეს ივანე ჯავახიშვილმა, სიმონ ხუნდაძემ, გრიგოლ გიორგაძემ, ნიკო ბერძენიშვილმა, ლეო გორგილაძემ, აბელ კიკვიძემ, ალექსანდრე ბენდიანიშვილმა, ფარნაოზ ლომაშვილმა და სხვებმა. მიუხედავად ამისა, ერთი საყოველთაოდ მიღებული პერიოდიზაცია ჯერჯერობით არ არსებობს.

ქვემოთ შევეცდებით ჩვენი აზრი წარმოვადგინოთ ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ.

პირველი პერიოდი. ეროვნული მოძრაობის დასაწყისი (XIX საუკუნის დამდეგი – 20-იანი წლები). საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაწყება რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობის უშუალო შედეგია. ამ ეპოქის ეროვნული მოძრაობის დამახასიათებელი ნიშნებია: 1) მკვეთრად გამოხატული ანტირუსული ხასიათი; 2) საერთოქართული ეროვნული მოძრაობის იდეის არარსებობა; 3) ხელმძღვანელი, მაკოორდინირებელი ცენტრის არარსებობა. მთელი ეროვნული მოძრაობა სტიქიური, სპონტანურია და მარცხდება კიდევ. ამ პერიოდის ეროვნული მოძრაობის გამოვლინებას წარმოადგენს 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში, 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში, 1810 წლის აჯანყება იმერეთში, 1812 წლის აჯანყება კახეთში, 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში.

მეორე პერიოდი. ეროვნული მოძრაობის პროგრამის შემუშავების დასაწყისი (XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან 30-იანი წლების დამდეგამდე). ეს პერიოდი უნდა განვიხილოთ, როგორც უშუალო შედეგი, გაგრძელება წინა პერიოდისა. ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა – 1832 წლის შეთქმულება – ეროვნული მოძრაობის დიდ მონაპოვარს წარმოადგენდა. ამ პერიოდის ეროვნული მოძრაობის დამახასიათებელი ნიშნებია: 1) მკვეთრად გამოხატული ანტირუსული ხასიათი; 2) საერთოქართული ეროვნული მოძრაობის იდეის წარმოშობა; 3)

ხელმძღვანელი, მაკოორდინირებელი ცენტრის შექმნის აშკარა მცდელობა; 4) ეროვნული მოძრაობის პროგრამის შექმნის სერიოზული ცდა.

მესამე პერიოდი. ეროვნული მოძრაობის შესუსტების, შეყოვნების პერიოდი (XIX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებიდან 50-იანი წლების დასასრულამდე). 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ეროვნული მოძრაობის ისტორიაში შესუსტების, შეყოვნების პერიოდი დგება. ეს პროცესი XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე გრძელდება. მიუხედავად აღნიშნულისა, ეროვნული თავისუფლების იდეა არ კვდება. იგი არსებობს, ეროვნული ძალები ახალი ბრძოლისათვის ემზადებიან.

ეროვნული მოძრაობის შემდგომ პერიოდებში ეროვნული და სოციალური საკითხი მჭიდროდ გადაეჯახება ერთმანეთს და მათმა დაპირისპირებამ განსაზღვრა კიდევ მთელი ეროვნული მოძრაობის ხასიათი თვით 1918 წლამდე.

მეოთხე პერიოდი. ეროვნული მოძრაობის პროგრამის შემუშავება (XIX საუკუნის 50-იანი წლების დასასრული – 60-იანი წლები). ეს პერიოდი მთლიანად სამოციანელთა (თერგდალეულთა) დიდი თაობის (ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილი და სხვ.) სახელთანაა დაკავშირებული. ამ ეპოქის ეროვნული მოძრაობის დამახასიათებელი ნიშნებია: 1) მკვეთრად გამოხატული ანტირუსული ხასიათი (ანტირუსული ხასიათის მიჩქმალვა ლეგალურ პრესაში, რაც პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი, ვითარებას ვერ იცვლის); 2) საერთოქართული ეროვნული მოძრაობის იდეის გაბატონება; 3) ხელმძღვანელი, მაკოორდინირებელი ცენტრის (თერგდალეულთა, ანუ პირველი დასის) შექმნა და მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა; 4) ეროვნული მოძრაობის წინამძღოლის (ილია ჭავჭავაძე) გამოკვეთა; 5) ეროვნული მოძრაობის პროგრამის შემუშავება და მისი განხორციელებისათვის გეგმაზომიერი, გააზრებული ბრძოლის დაწყება; 6) სერიოზული წარმატებების მოპოვება ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის დაწყებულ ბრძოლაში.

მეხუთე პერიოდი. ეროვნული მოძრაობის დაშლა დასებად (XIX საუკუნის 70-80-იან წლები). განხეთქილება სამოციანელთა (თერგდალეულთა) დასში, ანუ პირველ დასში, ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალიზაციის თაობაზე მოხდა. ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი ითხოვდნენ ეროვნული მოძრაობის პროგრამის შეზავებას სოციალისტური დოქტრინის იდეებით, ანუ ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალიზაციას. ილია ჭავჭავაძემ შეუძლებლად მიიჩნია ეროვნული მოძრაობის პროგრამის

სოციალიზაცია და ერთგული დარჩა სამოციანი წლების იდეალებისა. ცხადია, უთანხმოების მიზეზი მარტო ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალიზაცია არ იყო. ნიკო ნიკოლაძეს ამ პერიოდისათვის შემუშავებული ჰქონდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამა, რომელიც არსებითად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა, ამავე დროს იგი უხვად იყო შეზავებული სოციალისტური დოქტრინის იდეებით. ილია ჭავჭავაძეს მთლიანობაში ეს პროგრამა მიუღებლად მიაჩნდა, რადგან იგი ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა ეროვნული მოძრაობის პროგრამას. სამოციანელთა (თერგდალეულთა), ანუ პირველი დასის ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. მომხდარი განხეთქილების შემდეგ წარმოიქმნა ორი დასი: 1) თერგდალეულთა, ანუ პირველი დასი – ეროვნული მოძრაობის ყველაზე ძლიერი მიმდინარეობა, რომელიც 60-იან წლებში შემუშავებული ეროვნული პროგრამის ერთგული დარჩა; 2) მეორე დასი, ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დასი – ორგანიზაციულად და იდეურად გაცილებით სუსტი მიმდინარეობა, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში შემუშავებული ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალიზაციის საკითხს აყენებდა. სოციალურ საკითხში უთანხმოების მიუხედავად, მეორე დასი უეჭველად ეროვნული მოძრაობის მიმდინარეობად უნდა განვიხილოთ.

თერგდალეულთა, ანუ პირველი დასი იდეურადაც და ორგანიზაციულადაც მყარი აღმოჩნდა. რაც შეეხება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ, ანუ მეორე დასს, იგი ვერც იდეურად და ვერც ორგანიზაციულად მყარი არ აღმოჩნდა და დიდხანს ვერ იარსება. სერგეი მესხი 1883 წელს გარდაიცვალა, ხოლო ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი ვერ შეთანხმდნენ ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალიზაციის პრინციპებზე. ნიკო ნიკოლაძეს ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალიზაცია, როგორც ჩანს, ძალზე მარტივად წარმოედგინა, გიორგი წერეთელმა კი რუსეთის კოლონიური უღლის ქვეშ მყოფ საქართველოში სოციალისტური დოქტრინის იდეების დანერგვა საშიშად მიიჩნია და საბოლოოდ ნაციონალ-სოციალიზმის პოზიციაზე დადგა. ამრიგად, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ანუ მეორე დასის ორად გაყოფის შემდეგ ჩამოყალიბდა ორი დასი: 1) ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დასი და 2) ნაციონალ-სოციალისტური დასი. თუ მეორე დასი, ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დასი (ნიკო ნიკოლაძე) უეჭველად ეროვნული მოძრაობის მიმდინარეობად უნდა მივიჩნიოთ, ნაციონალ-სოციალისტური დასი (გიორგი წერეთელი) არ შეიძლება ეროვნული მოძრაობის მიმდინარეობად განვიხილოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ დასიდან გამოვიდნენ

ქართველი სოციალ-დემოკრატები (სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძე), როგორც სრულიად კანონიერი მემკვიდრე ნაციონალ-სოციალიზმისა.

ამ ეპოქის ეროვნული მოძრაობის დამახასიათებელი ნიშნებია: 1) ერთიანი ეროვნული მოძრაობის იდეურად და ორგანიზაციულად დაშლის მიუხედავად, ერთიანი ეროვნული იდეის შენარჩუნება; 2) სოციალური საკითხის წინ წამოწევის მიუხედავად, ეროვნული საკითხის აშკარა პრიორიტეტი; 3) ახალი წარმატებები საქართველოსა და ქართველობის გადარჩენისათვის ბრძოლაში.

მექვსე პერიოდი. ეროვნული მოძრაობის დაშლა, პოლიტიკური მიმდინარეობებისა და პარტიების აღმოცენება (XIX საუკუნის 90-იანი წლები – 1917 წელი). თერგდალეულთა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ნაციონალ-სოციალისტური დასების ჭიდილში XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდევიდან საქართველოში აღმოცენებას იწყებს პოლიტიკური მიმდინარეობები და პარტიები: 1) ერთიანი ეროვნული მოძრაობის ახალი ვითარების შესაბამისად აღორძინების მცდელობა – „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ (1891-1893 წწ.); 2) სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა – „მესამე დასი“ (1892-1893 წწ.); 3) სოციალისტ-ფედერალისტური მოძრაობა – საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია (XIX საუკუნის 90-იანი წლები – 1904 წელი); 4) ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობა – ჟურნალი „კლდე“ და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (1912-1917 წწ.); 5) ემიგრაციაში არსებული ეროვნული ძალების გამაერთიანებელი მოძრაობა – „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (1914 წ.).

ამ ეპოქის დამახასიათებელი ნიშნებია: 1) ეროვნული მოძრაობის კრიზისი; 2) სოციალური საკითხის აშკარა პრიორიტეტი ეროვნულთან შედარებით; 3) კოსმოპოლიტური მიმდინარეობის გაძლიერება; 4) ურთიერთობის გამწვავება სოციალისტური და ეროვნული ორიენტაციის ძალებს შორის; 5) ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გააქტიურება.

მეშვიდე პერიოდი. ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაცია (1917 წლის მარტი – 1918 წლის მაისი). მიუხედავად იმისა, რომ წინა პერიოდმა პოლიტიკურ პარტიებსა და მიმდინარეობებს შორის დაუსრულებელ პოლემიკაში ჩაიარა, 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ ხდება ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაცია. 1917 წლის აპრილში საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული კრებების მოწვევა და აგვისტოში საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნა, რომელშიც შევიდნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები,

დიდი გამარჯვება იყო კონსოლიდაციის გზაზე. ცოტა მოგვიანებით, 1917 წლის ნოემბერში, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევა და საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევა იმის მაუწყებელი იყო, რომ ქართული ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაციის იდეა რეალობად იქცა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება სწორედ ეროვნული კონსოლიდაციის შედეგი იყო. შეიძლება კონსოლიდაციას აკლდა შინაგანი სიმტკიცე, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა, შექმნილ საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად, სწორედ ეროვნულ კონსოლიდაციას დაემყარა.

მერვე პერიოდი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანა (1918-1921 წლები). ცხადია, ამ პერიოდის ეროვნული მოძრაობა თვისობრივად განსხვავებული იყო წინა პერიოდთან (1801-1917 წლებთან) შედარებით. 1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა მოძრაობამ საბოლოო მიზანს მიაღწია – შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეროვნულ მოძრაობას ამიერიდან ორი გამოხატულება აქვს: 1) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა, 2) სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვა, ანუ ბრძოლა გარეშე მტრის წინააღმდეგ.

მეცხრე პერიოდი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა (1921-1924 წლები). ამ პერიოდში ეროვნული მოძრაობის კოორდინატორის ფუნქციას საქართველოს ემიგრაციული მთავრობა ასრულებს. მოძრაობის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობს ყველა სოციალური ფენა. კულმინაციას 1924 წლის აჯანყება წარმოადგენს. ცხადია, მოსკოვს, სამხედრო თვალსაზრისით, როგორც ეროვნული მოძრაობის, ისე 1924 წლის აჯანყების ლიკვიდაცია არ გასჭირვებია, მით უფრო, რომ საერთაშორისო ვითარება მას უწყობდა ხელს.

მეათე პერიოდი. ეროვნული მოძრაობა საბჭოთა წყობილების არსებობის პირობებში (1925 წელი – 80-იანი წლების შუა ხანები). ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ის, რომ ეროვნული მოძრაობის რეპრესირებული ღონისძიებებით დათრგუნვის მიუხედავად, ორგანიზაციული სისუსტის მიუხედავად, ამ მომკვდარა ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა. ამაში დიდ როლს ასრულებს ქართული ემიგრაცია (საქართველოს ემიგრაციული მთავრობა, ქართული ეროვნული ცენტრი). პერიოდი თავისთავად ვრცელია და შეიძლება ქვეპერიოდებად დაიყოს:

ა) 1925-1941 წლები (ეროვნული მოძრაობის შესუსტება). უმკაცრესმა რეპრესიებმა ძლიერი დარტყმა მიაყენა ეროვნულ მოძრაობას, ეროვნული მოძრაობა შესუსტდა, თუმცა ეროვნული თავისუფლების იდეა არ ჩამკვდარა.

ბ) 1941-1945 წლები (ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლება როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციაში). საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებამ იმედი ჩაუსახა ეროვნულ ძალებს. ომის დაწყებიდან სულ მალე შეიქმნა საიდუმლო ორგანიზაციები, გამოცოცხლდა პოლიტიკური ემიგრაციაც.

გ) XX საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებიდან 50-იანი წლების შუა ხანებამდე (ეროვნული მოძრაობის შესუსტება). საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ დამორგუნველი გავლენა მოახდინა ეროვნულ ძალებზე, საბჭოთა ხელისუფლებამ გაანადგურა არალეგალური ორგანიზაციები.

დ) XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებიდან 80-იანი წლების შუა ხანებამდე (ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლება). 1956 წლის მარტის გამოსვლებით დაიწყო ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი. თვით 1956 წლის 9 მარტი შეიძლება წმინდა ეროვნულ მოძრაობად არ განვიხილოთ, მაგრამ 9 მარტის ტრაგედიის შემდეგ მოაზროვნე ქართველობა სერიოზულად დაფიქრდა იმაზე, თუ რა დიდ საფრთხეს უქმნიდა ქართველ ერს საბჭოთა იმპერიაში ცხოვრება. ეროვნული თავისუფლების იდეა სულ უფრო პოპულარული ხდებოდა,

მეათე პერიოდი. ეროვნული მოძრაობის მძლავრი აღმავლობა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (80-იანი წლების მეორე ნახევარი – 1991 წელი). ამ პერიოდის ეროვნული მოძრაობის წარმატება გაპირობებული იყო მთელ საბჭოთა კავშირში შექმნილი მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისით, ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებით. საბოლოო მიზანი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა – 1991 წელს მიღწეული იქნა.

ცხადია, ჩვენ მიერ შემოთავაზებულ პერიოდიზაციას თავისი ნაკლი ექნება. უნაკლო პერიოდიზაციის შემუშავების პრეტენზია არც გვქონია. ვფიქრობთ, ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიის მეტნაკლებად მისაღები პერიოდიზაციის შემუშავება მომავლის საქმეა.